



ბრძოლის გზა

ყოველთვიური ორგანო სპ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი გ. გვარჯალაძე.

Directeur C. Gvardjaladze.

შინაარსი: 1) გ. გ.—დამარცხების და დანაწილების შიში; 2) ნ. ყორღანი—რუსთაველი; 3) გრ. ურბაძე—კიდევ ავლითშვილი; 4) ვალ.—ეროვნული ბრძოლა და სოც. ინტერნაციონალი; 5) მცირე შენიშვნა; 6) კავკასია და ოსმალეთი; 7) ამსტერდამის ინტერნაციონალი და საბჭოთა პროფესიონალი კავშირები; 8) კარლ კაუტსკი; 9) პარტიანი; 10) გ. გ.—ბიბლიოგრაფია; 11) ნიკო ურუშაძე—წერილი რედაქციის მიმართ; 12) ვ. წ.—ანგარიში.

ღამაკცხვის და დანაწილების შიში

მოსკოვის უკანასკნელ პროცესზე ბუხარინ-რიკოვის და სხვების წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები დიდთა წაგავდენ ყველა იმ ბრალდებებს, რომელნიც სწორათ მოგვიხსენია წინასწარ პროცესების დროსაც. დანაწილების სკამზე აქაც ბოლშევიკების ცნობილი თეორეტიკოსები, სანოევიკები და კომისრები იყვნენ.

წინასწარი პროცესების შესახებ ჩვენი გაზეთში არა ერთხელ გამოგვიტყვემს ჩვენი აზრი, მაგრამ უკანასკნელი პროცესი გამოართა ისეთ დროს და ისეთ პირობებში, რომ ყველასათვის თავსამტკრევი რჩება, თუ რაშია საქმე და როგორია ამ პროცესის ნამდვილი მნიშვნელობა.

დღეს საერთაშორისო მდგომარეობა მეტათ გართულებულია და ყოველდღე მოსალოდნელია იარაღის ამოქმედება და მოწინააღმდეგეთა ურთიერთზე დატაკება. ამ მხრივ საბჭოთა რუსეთიც ძალზე ცუდ პირობებში იმყოფება, რადგანაც მას რამდენიმე მიმართულებით მტერი ემუქრება. ევროპიელები ვაკვირვებული არიან, თუ რატომ ასეთ დროს კრემლის მესვეურნი ასე ხეპრულად იქცევიან, თავიანთ ისედაც დაცემულ პრესტიჟს უცხოეთში კიდევ უფრო სცემენ და ყველას უქმარაფილებას და სიძულვილს იწვევენ. მაგრამ მათ ვერ გაუგიათ ის, რომ სტალინი დღეს ევროპიელების აზრს სწორად რომ ნაკლებ ყურადღებას აქცევს. დიქტატორმა ილია-ამის მას დიდი და ხანგრძლივი გამოცდილება აქვს—რომ, რა სისაძაგლეც არ ჩაიდინოს მან საბჭოთა კავშირის მოსახლეობის წინააღმდეგ, ამისათვის მას ევროპაში ჯვარზე არცინ აცემეს; მისი საგმირო საქმეების შესახებ აქა-იქ გაზეთებში დაწესებულ და ორიოდ მწარე სიტყვას იტყვიან, შე-

იძლება ზოგიერთებმა ამის გამო გამოიტანონ უზერხემლო და უშინაარსო რეზოლიუციებიც, რომელსაც არავითარი სერიოზული შედეგი არ მოყვება, და ყველაფერი ამით გათავდება.

სოციალისტურმა და დემოკრატიულმა ევროპამ მთელი წლების განმავლობაში გამოიჩინა უდიდესი უსუსურობა ბოლშევიკების ტირანიის მიმართ და ვერ გამოანახა შესაფერისი ზეგები და საშუალებანი, რათა მას მთელი სოციალისტური და დემოკრატიული ევროპის საზოგადოებრივი აზრი ტირანების წინააღმდეგ აეხმედებია, მისთვის ლაგამი აეღვა და სათანადო ადგილი მიეჩინა, დღესაც, როცა მოსკოვის მოქმედება მოკლებულია ყოველივე სამართლიანობის ელფერს და სავსეა აუარებელი პატროლოგიური მოვლენებით, ევროპის სოციალისტური და დემოკრატიული ორგანიზაციები, ყოველად უნიადაგო და უსაფუძვლო მოსახრებებით, იმასაც კი გაუბრძიან, რომ ენერგიულად დაბკმონ და ვაკიცხონ ბოლშევიკების მიერ საბჭოთა კავშირში წარმოებული ტერორი, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ ჯაშუსებზე და მანენებელად გამოცხადებულ კომუნისტების, არამედ აგრეთვე სოციალისტების და დემოკრატების წინააღმდეგაც. ისინი ფრიდებიან მოსკოვს, ეშინიათ მისი გაღიზიანების და წყენის; პროტესტის გამოცხადების და მისი საქციელის ვაკიცხვის მაგიერ მას თხოვნიან და დარიცხვებით მიმართავენ და მათთვის დიდია ისიც, თუ საბჭოთა კავშირის სსსამართლოს უნდობლობას გამოუტყავდნენ.

ევროპა შეეჩვია ბოლშევიკების სიმხცეს და არაა ვასაკვირი, თუ ეს უკანასკნელნი მას არავითარ ანგარიშს ალარ უწევს. კრემლის მთავარი ყურადღე-



ბა მიეცეულია დღეს საშინაო ფრონტისაკენ, რადგანაც უფრო ამ მხრით მოელის მას პირდაპირი საშინაოობა.

სტალინმა თავისი პოლიტიკით საბჭოთა რუსეთი უფსრულის პირამდე მიიყვანა. მისი გეზი, როგორც ინდუსტრიზაციის, ისე კოლექტივიზაციის სფეროში, სავსებით გაკორდა. მუშათა კლასის და ადგილობრივი მდგომარეობა ყოველთა უმწეო და აუტანელი გახდა. მაგრამ მისი დამლუპველ პოლიტიკის შედეგის პასუხისმგებლობას ის სხვებს ახვევს თავს. ყველა უბედურებათა მიზეზათ ის სხვებს მოწინააღმდეგეთა მავნებლობას და საბოტაჟს მრეწველობის, თუ მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, ყველა წინანდელ პროცესების მიზანი იყო სწორედ ამის დამტკიცება, რომ ამით სტალინს ადვილად გამომართლებია მოპირდაპირეთა წინააღმდეგ წარმოებული საშინელი რეპრესიები და ტერორი. მთელი საბჭოთა კავშირი დიქტატორმა გადააქცია ჯოჯოხეთად, სადაც იტანჯებოდა უფლება აყრილი და დატყვევებული ერები, თუ ცალკე ინდივიდები. კრემლსა და ხალხს შორის უფსკრულია გათხრილი. კრემლი იარაღს და პოლიციას ეყრდნობა. ხალხი კი უიარაღო და უიმედო პირდაპირ ხელჩართულ ბრძოლას ერიდება. ადვილად გასაგებია, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებული ხალხი შეეცდებოდა ქალის ძალისაგან მოლოდინს. ამით აიხსნება, რომ მთელ საბჭოთა კავშირში დღეს «პარავენცობის» და დეფეტისმის სულსკვეთებაა გაბატონებული.

თუ რამე კი არის მართალი ბუხარინ-რიკოვის და სხვების წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა შორის, ეს ალბათ ის, რომ ბრალდებულთ, როგორც ამას პროკურსუნ თვით ბუხარინი აცხადებდა, შესაძლებელ მომავალ საომარ კონფლიქტებზე კონდათ აღებული ორიენტაცია, ფიქრობდნენ ესარგებლათ ომით შექმნილ მდგომარეობით. გადატრიალება მოეხდინათ. ძალაუფლება ხელში ჩაეგდოთ და სტალინი თავიდან მოეშორებოდათ.

სტალინს ეხლა სწორედ იმის ეშინია, რომ ვინც ობობა რუსეთს ვინმე დაეტკა და ომი დაეცდა, ამ ომში აუცილებლად დამარცხდება; ამ დამარცხების მიზეზათ კი მას გახდინა და პასუხსაც მას მოსთხოვენ. ამიტომაც ის აქედანვე ცდილობს ამ მოსალოდნელ დამარცხების პასუხისმგებლად ეხლავე სხვები დასახოს და მით შემდგომშიც ძალაუფლება შეინარჩუნოს.

საბრალდებულო ოქმი ამბობს არა იმას, რომ ბუხარინი, კრესტინსკი და სხვები ფიქრობდნენ შექმნილ საომარ მდგომარეობის გამოყენებას და მით სარგებლობას, არამედ ანტიკაცებს, რომ ისინი უცხო სახელმწიფოების აგენტები იყვნენ, აძლევედნენ მათ საიდუმლო ცნობებს, ძირს უთხრიდნენ წითელი ჯარის ძლიერებას, ამზადებდნენ ომს, იწვევდნენ მტრებს საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად, ვაჟრობდნენ სახმედრო საიდუმლოებებით და ყველაფერ

ამისთვის გერმანიის გენერალურ შტაბიდან იღებდნენ რაღაც 125.000 მარკას, რომელიც ინფლაციის ხანაში, როცა ვითომც, ეს ფული იქნა აღებული, ის 10 ფრანკულ ფრანკიც კი არ ღირდა. რომ მოვალაბათ და გამცემნი ყოველანა მოპოვებოან, ამის შესახებ დავა არ არის და ეს არც ვასკვირობ; ვასაკვირია მხოლოდ ის, რომ სახელმწიფოს პირველ ხარისხიანი მოღვაწენი თავის სინდის, პატიონდნებას და საზოგადო მოღვაწეობას 10 ფრანკათ ყიდდენ და სტალინი და მისი პარტია მოვალურად და ხსენობრივად ისე იყვნენ დაცემული, რომ ამის თქმა არ ერთობებოდათ.

მეორე მოვარი ბრალდება ბრალდებულთა წინააღმდეგ ის იყო, რომ ისინი ყიდდნენ სამშობლოს, ანაწილდნენ საბჭოთა რუსეთს, მის ნაწილს უკრებდნენ სხვადასხვა უცხო სახელმწიფოებს და მანკირად უკრიანას, ბელორუსიას, საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს და თურქესტანს იმპერიალისტების კოლონიებათ ხდიდნო.

ჩვენ არ ვაგვიწყნია, რომ ბრესლიტოვსკში სწორედ სტალინის მოწაწილებით ბოლშევიკები არარუს მიწა-წყალს მარცხნივ და მარჯვნივ არიებდნენ და კოლონიებათ სხვებს აძლევედნენ. ჩვენ ისიც ვიცით, რომ გასულ წლებში კრემლი იაპონიასთან კონფლიქტის შიშით მას თვებით ევაჟრებოდა და ბევრ რამეს მეტათ იათ ფასებში უთბობდა. ისიც არ არის მოულოდნელი, რომ შესაძლებელ მომავლ გართულებებში სტალინი შეეცადოს ომში პირდაპირ არ ჩაებას და მონარდილი ტერიტორია უომრათ სხვებს დაუთმოს. ამ ერთი მხარის უფრო გასამართლებლად მეორე მხარისად ჯარები გაიყვანოს და იქ საოკუპაციოთ რუსების ალაგას სხვა უცხო ძალა მოიპატიჯოს.

კრემლს ვერძობს, რომ საბჭოთა კავშირის ხელეწიურ ხუხულას დიდი ხანი არ უწერია. ის ხედავს, რომ 80 მილიონი არარუსი 80 მილიონ რუსს არ დაემორჩილება, არ ემონება და რუსეთი აუცილებლათ დანაწილდება. დიქტატორი კი ეხლა ღელავს და თვალმაქცობს. ცდილობს აქედანვე შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომ მას მომავალში შეეძლოს შესაფერისი მახირების გაკეთება და რუსეთის დარღვევისათვის სხვების დამნაშავეთ გამოყვანა.

რუსეთის დამარცხების და დანაწილების შიშში მყოფი სტალინი დღეს მიმართავს ველიკოროსების ნაციონალისტურ-დიდმყრობელურ გრობობებს, ზრდის და აღიზიანებს ამ გრობობებს, თავის თავი მოაქვს რუსეთის მხსნელათ და გამომეორიანებლათ და, როგორც ასეთს, უნდა განიმტკიცოს ხალხში თავის პოპულიარობა. მაგრამ დიქტატორი სწორეთ ამისათვის სძულთ საბჭოთა კავშირში მომწყვედულ და დამონებულ ყველა ერებს, რომენიც, როგორც მოსკოვის, ისე სხვა ვინმეს ყოველგვარი ბატონობის წინააღმდეგე არიან და სრული თავისუფლების მოსაპოვებლათ მედგრათ იბრძვიან.

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

3.

რუსთაველის შემოქმედების დამახასიათებელი თვისება, რითაც ის ძირიანათ განსხვავდება ელინნიზმისაგან, მდგომარეობს მის მიერ ქალის როლის დახატვაში.

ილიაძის მთელი ტრაგედია წარმოებს ელენეს გამო. მაგრამ ამ ქალს არავითარი როლი არ აქვს მინიჭებული; ის პასიური პიროვნებაა, მოკლებული საკუთარ ნებისყოფას, საკუთარ გულისთქმას და სურვილებს. ის სრულიად უპროტესტო და უბრძოლველად ხდება მეუღლე მომტაცებელი პარისის, თითქოს თავისი ნებით და ამორჩევით გათხოვილიყოს.

ვეფხისტყაოსანის მთელი ტრაგედია წარმოებს გატაცებული ნესტან დარეჯანის გამო. მაგრამ ეს ახალგაზდა ქალი აღუჭურვილია დიდი ნებისყოფით, დიდი ენერგიით და თავმოყვარეობით. მას აქვს საკუთარი იდეალი, საკუთარი გული და გონება და იბრძვის მდგომარეობაში, შეუპოვრათ მათ დასაცავთ და განსახორციელებლათ. ის ქაჯეთის ცინიდან უდასტურებს ტრაიელს თავის ერთგულებას: «შენმა მზემან, უშენმა აზრის მიხვედს მთვარე შენი, შენმა მზემან ვერვის მიხვედს, მოცადევენ სამინი მენი, აქა თანასა გადაიქცევი, ახლოს მახალავენ დიდნი კლდენი». ე. ი. თავს მოვიკლავ და სხვას არ გავყვები მეუღლე თო. რუსთაველის ქალი არის აქტიური, გონიერი. თავმოყვრება მეტბოძოლი. ის გვერდში უდგას მამაკაცს, მას ეთანასწორება ყველა სფეროში, როგორც საზოგადო ისე საოჯახო ასპარეზზე. ელინელთა ქალს კი მხოლოდ ერთი ასპარეზი ჰქონდა მიჩენილი—ქვს იყო ოჯახი. აქაც მთელი ძალაუფლება ეკუთვნოდა მამაკაცს და დედა-კაცი მის სრულ განკარგულებაში იმყოფებოდა. ეს არის ორი სავსებით მოპირდაპირე მსოფლმხედველობა, მათ შორის საერთო არა არის რა.

რით ასაბუთებს რუსთაველი ამ ბრძოლებას? ერთი მოხდენილი ფრაზით: «ლევკი აღზრდას სწორია, ძუ იყოს გინდა ხვადი». ეს არის მისი ძირითადი თეორია, რაზედაც აგებულია მთელი მისი სოპეა, ამ თეორიის გაგება შეიძლება ორნაირად: ის ან ამით გულისხმობს მხოლოდ მეფეთა ქალ-ვაჟის თანასწორობას, ან საზოგადოთ ორივე სქესის თანასწორობას.

მთით ეს თეორია, რა გაგებითაც უნდა იყოს ის, სავსებით ეწინააღმდეგება ელინიზმს. მეფეთა ქალ-ვაჟნი სრულიად არ სარგებლობდნენ თანასწორი უფლებებით. არასოდეს ქალი მეფეთ არ მჯდარა, არასოდეს მათ შორის თანასწორობის ხაზი არ გავლებულა. ელენე მეფის შვილია და მეფის ცოლია, მაგრამ პიროვნებას არ წარმოადგენს, მამა-კაცის ბრძანება მისთვის კანონია. ეგრებისთვის ცნობილ თხზულებაში, მთავარი გმირი ქალი იფიკლია თავს სწორავს სამშობლოს და თავს ინუგეშებს იმით, რომ «ერთი კაცის სიცოცხლე უფრო ძვირადსია ვინემ ათასი ქალის სიცოცხლეო». ეს იფიკენია კი მეფის შვილია

(აგამენონის). ე. ი. ქალი თუნდაც მეფის ჩამომავალი კაცზე უფრო დაბლა დგას, თუნდაც ეს უგვაროც იყოს. კიდევ მეტი, მამა იფიკენიას უბრძანებს: «წადი სახლში, არ არის რიგი ახალგაზდა ქალს კაცები ხედავდენ». ამ ელესი ეუბნება აგამენონის მეუღლეს: «მართალია შენ მოკლეთ თქვი მოხდენილი ახრები, მაგრამ ჩემთვის სასიძოცხოა ქალებს ვეშუსაიფო?».

ერთი სიტყვით, ელინელები ქალს უყურებდნენ როგორც დაბალ არსებას, მათვის გაუგონარია რუსთაველის თეორია—ქვს და ხვადის თანასწორობა, თუნდაც ამ ზრის ვიწრო მნიშვნელობით. მისი მხოლოდ მეფეთა ჩამომავლობაზე გავრცელებული.

რუსთაველი მართლა ამ ვიწრო ჩარჩოში ათავსებდა თავის მთავარ დებულებას? საქმარისა კარგით ჩაყვირება მის სოპეაში და გათვალისწინება ძველი საქართველოს ისტორიის, რომ ამ საკითხზე ურყოფითათ უპასუხობთ; რუსთაველისათვის თანასწორია ყველა ქალი და კაცი, რა ხარისხისაც უნდა იყვნენ ისინი. და მართლაც, ვეფხისტყაოსანის ყველა ქალი მომქმედი, აქტიური პირობა; ისინი არა თუ ეთანასწორებიან კაცებს, არამედ მათ კიდევაც მეთაურობენ, თოსნობას უწევენ, მათ ასაქმებენ და ამუშავებენ. სიყვარული და სიყვარულით ცოლ-ქმრება ქალების მეთაურობით მუდამ ხდება და სრულდება (ნესტანი, თინათინი). დამის ყველა კვანძები მათ მიერ ისვენება და იხსნება. განარისებულნი მამიდა დავარი კარგავს თავის ძმისშვილს, მის საძებნელათ თინათინი აგზავნის აეთანდილს, ხოლო ფტემანის წყალბობით დაკარგული ნესტანი იხანება და ტყვეობისაგან თავისუფლდება. ტრაიელი მას ამ დიდი სასახურისათვის თავის დათაცხადებს: «მეთავი შენი მიძია, და გული შენი ჩემზედა გარდაუხდელი დიდია». გამძელი ასმათის როლი ხომ ცნობილია. ის ახლავს ტრაიელს მის ნუგეშათ და გასამხნეებლათ. აეთანდილი ასე ხატავს მის როლს ამ გავარდნილი კაცის წინაშე: «ქალი ახლავს სასურველათ, სულად დგამთ და პირთა თმნად», ე. ი. მისი შემწყოობით იტანს გმირთა-კაცი ამდენ გაჭირებას. სიტყვა ასმათი სპარსულია და ნიშნავს მორცხვს, უმაცოს. სოცტმა ამ სახელით, მაშასადამე, გადმოგვცა მისი მორალური თვისებები. ამ თავის თვისებას ასმათი ამქვანებს ტრაიელის პირველ შეხვედრისთანავე ამ სიტყვებით: «დღე ეგე სიტცხელით მედენის გულსა ალობა, გგონია, ჩემგან წინაშე მაგისთვის (არ-შიყობისათვის). ნ. ქ. მომავლობა». ი. ის რჩება ასეთ მორცხვათ ბოლომდე. რუსთაველამ ამ ტიპით დახატა უბრალო ქართველი ქალი, პატროსანი, ერთგული და ამტანი.

რუსთაველს გამოყავს ოთხი მომქმედი ქალი, ორი მეფის ასული, ორი ხალხის შვილები, მამაკაცების წინამძღოლებათ და მრჩეველებათ. ისინი ერთნაირი ენერგიით და გონიერებით ეხმარებიან

*) იხ. ვერიპილის «იფიკენია».



კაცებს ყველა გაპირების დროს. მთელი პოემა არის ქალის აბოთოზი, მიუხედავად მისი მდგომარეობისა და წოდებისა. საერთო საქმეში ისინი ერთიანობა იღებენ მონაწილეობას, ერთნაირად ემსახურებიან მოვალეობას და ერთნაირად ამხნევენ კაცებს აქ ინატება არა თუ ქალი და კაცი თანასწორობა საზოგადოებას, არამედ ქალთა უაღრესობა მამაკაცებზე, არა მხოლოდ მეფის ასულთა. არამედ უბრალო ქალებსაც, აი ეს აშკარა ხასიათი ვფენის ტყაოსანისა იწვევს დიდ გაკვირვებას და საკუთრების მის საფუძვლიანათ ახსნას. აშკარაა, ძველ საქართველოში დიდი დიდ როლს თამაშობდა, გაცილებით უფრო დიდი, ვინემ შემდეგ ფეოდალურ პერიოდში, რაიც უნდა ჩაითვალოს ქალის მდგომარეობის დაქვეითების ხანათ. ამის დასამტკიცებლათ საქმარისია მოიყვანათ რამოდენიმე მაგალითები ისტორიიდან.

ერთათ ერთი ვრი, რომელმაც სარწმუნოება მიიღო ქალისაგან, არის ქართველი ვრი. წმინდა ნინო ქართველმა ხალხმა აღიარა თავის სულიერ წინამძღოლათ და მომნათველათ ყოველგან, სხვა ქვეყანაში, ამ როლს ასრულებდენ და ასრულებენ მამაკაციები. მოციქულთა შორის არც ერთი ქალი არ ყოფილა. ქალის დაქვეითება საზოგადოებას პირადად სავსებით ეთანხმება ქრისტიანობის მომდგრებას. ის სქესთა თანასწორობას ძირიანათ უარსყოფს. მოცე, ქრისტე, მოციქულები და შემდეგ მათი მიმდევარი მამაძალი აცხადებენ კაცობრიობის და დედოფლების მიზეზათ ქალს, რომელმაც აცდუნა პირველი კაცი ადამი, აყვა ეშმაკის რჩევას და თავს დაატება კაცობრიობას საშინელი უბედურებათ. პავლე მოციქული ასე აგვიწერს ორი სქესის ურთიერთობას თავის ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ: «იცოდეთ ამ ქრისტე არის უფროსი ყველა კაცის, ხოლო კაცთა უფროსი ყველა ქალის ... კაცი არ უნდა იხურავდეს თავს, ვინაიდან ის არის სახე და სახელი ღვთისა, მამონ როდესაც ქალი არის სახელი კაცისა. და მართლაც, კაცი არ იყო ამოღებული ქალისაგან, პირიქით ქალი იყო ამოღებული კაცისაგან; კაცი არ იყო შექმნილი ქალისათვის, პირიქით ქალი იყო შექმნილი კაცისათვის» და სხ. ეს ნათელია. ქალი სჯულის მიმცემი ვის გაუფორნია. ჩვენსში კი ეს გაუფორნარი ამბავი მოხდა. მიზეზი ეს ახსნილია წმინდა ნინოს ცხოვრებაში, სადაც უთქვამია: ნინოს სიზმარში გამოეცხადა ღმერთი და უთქვამია წასული იყო ივერიაში ქრისტიანობის საქადაგებლათ, ნინოს გაკვირვებზე მე დედაკაცი ვარ, ვინ დამოხერგებო, ღმერთი ეუბნება: «არცა მამაკაცებთ, არცა დედაკაცებთ, არამედ თქვენ ყველანი ერთნი ხართ!» ი. ეს ახსნა სავსებით ეწინააღმდეგება ყველა სარწმუნოების მომდგრებას, ყველა ღმერთის შეხედულობას და ასეთ განმარტებას როგორ მისცემდა ქრისტიანთა ღმერთი. რასაკვირველია მთელი ეს ამბავი შეთხულებია მემპტიანსაგან, რომ ამით აფხნას საოცარი ისტორიული ამბავი. ხოლო ახსნა კი გამოვიდა ანტიქრისტიანული, სამაგიეროთ ქართველებისათვის დასაჯერებელი, ვინაიდან ის იყო ახსნა წმინდა ქარ

თული. ძველი ქართველობა სწორეთ ასე ფიქრობდა, სქესთა თანასწორობას სწონდა და ამიტომ მიიღო მან დედაკაცისაგან მირონა და ნათელა. ე. ი. თვით ქართული ნაციონალური ნიადაგი იძლეოდა სქესთა თანასწორობის იდეოლოგიას, ქალს არ უყურებდენ, მოციქულ პავლესგან. მეორე ხარისხივან არცებათ და ამიტომ მისი მეთაურობა რელიგიური. ისე რამაგორც შემდეგ სხვა საფეროებში, სავსებით მისაღები იყო. ეს აზრი კიდევ უფრო ნათლათ არის გამოტყვეული ქართულ ჰიერარქიკონში: «წმინდა და ერთსწორ ყავი მამაკაცი და დედაკაცი, ვითარცა სათნო განხდა შენ არა ხოლო თუ მამათა, არამედ დედათაცა მოექმადლი სულისა შენისა წმინდისა» (იხ. ჯავახიშვილის ისტორია). დედაკაცებთა და მისი დასაბუთება აქ ერთი მეორეს არ გავს. მაღლი უქვეელია ორივე სქესზე გადმოვიდა, მაგრამ აქედან სასულ იღო არ გამომდინარეობს მათი «ერთსწორობა», როგორც ეს აგვიხსნა პავლემ. აქ არის ცდა წმინდა ქართული წარმართული შეხედულობის დამტკიცება რელიგიური მოსაზრებით. მაგრამ ფაქტი მინც ფაქტათ რჩება—ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს გინდა ხევალია.

ყველა ლევენდის არსება აგებულია სინამდვილეზე. თქმულება ძველი კავკასიის ამბავებზე, მეომარ ქალებზე, უქვეელია არის დაყრდნობილი ასეთი ქალების სინამდვილეში არსებობაზე. ეს მომწმინდა იმ გარემოებას, რომ ჩვენსში იყო მატრიარხატი. ქალის უფროსობა ოჯახში და საზოგადოებაში და ამ სქესთა ურთიერთობის იდეოლოგია დიდხანს შეინახა ქართველთა შორის, მატრიარხატი ბატონობა ბევრ სხვა ხალხებში, მაგრამ ისეთი ღრმა, ფართო, გმირული და ხანგრძლივი, როგორც იყო კავკასიაში არსად არ ყოფილა.

აქედან აიხსნება აგრეთვე ერთი იშვიათი მოვლენა—ქალის უაღრესობის გამოხატვა ლინგვისტიურათ. მართლ ქართველებმა ქალის წინ დაყენება კაცზე ორივე სქესის ერთი სიტყვით გამოსატყველათ: დედა-მამა, და ძმა, ქალ-ვაჟი, ცოლქმარი და სხ. ორივე სქესი აღიარებულია კაცათ: დედა-კაცი, მამაკაცი. ქართველი ქალი დღევანდლამდე სასტიკო იცავს თავის ინდივიდუალობას ქმრისაგან, ის არასოდეს არ სცნობს ქმარის გვარს თავის გვართ. ქმრის ოჯახს თავის ნაძვილ ოჯახათ; მისი «შინა» არის იქ სადაც მისი დედმამა ცხოვრობს, მისი გვარი მამის გვარია. ის «მოყვანილია» სხვის ოჯახში და მეტი არაფერი. აქედან გამომდინარეობს შესაფერი დამოკიდებულება ქალს და კაცს შორის. ქალის პატივისცემა. ოჯახის ერთგულება, მეუღლეობის ძლიერება არსად ისე მკვიდრათ არ არის დაბუღებული როგორც ქართველებში. რაკი ქალი კაცის დამატება არ არის, ცხადია ის არ შეიძლება იყოს მისი მონა, ქვეშევრდომი, მორჩილი. ის მისი თანასწორია და ურთიერთობაც ამ ნიადაგზე არის აგებული. მათი შრომა ოჯახში გაყოფილია—კაცი ბატონია ოჯახს გარეთ, საგარეო საქმეებში, ქალი კი ოჯახში, საშინაო საქმეებში. ეს ხაზი სასტიკათა გავლებული საოჯახო ურთიერთობაში. გაგვიძე-

ლდა. ჩვენ მიზანში არ შედის ამ მხარის გამორკვევა და რაც დღეს სავესები გამოურკვეველია).

რაც ვთქვით საქმარის საბუთია რუსთველის პოზიციის გასაშუქებლად. ის აღიარებს სქესთა თანასწორობას, როგორც ქართველ ნაციონალურ მოქვლენას. კიდევ მეტი, ის იღებს ამ თანასწორობის უძველეს ფორმას და ქალს ანიჭებს უპირატესობას ყველა დარგში, გარდა, რასაკვირებლია. ფიზიკური ძალისა. პოეტისათვის ქალ-ვაჟი არ არის უბრალო ნების ბრუნვა, სინამდვილეშიც ქალს ვაჟზე წინ აყენებს. აი ეს ნაციონალური იდეოლოგია შობებრა პოეტმა ძველ ელინურ მსოფლმხედველობაში და მით თავისი თხზულება განასხვავა ყველა წინა დროის თუ თავის დროის თხზულებათაგან. ეფესოს ტყა. ოსანი არის წმინდა ქართული რომანი. სიყვარული ელინური გავებით ამ რომანში აღარ არის. ნესტე დათეჯანი აუჯანყდა ყოვლად შემძლე მეფეს, თავის მამას, რომელიც მას მისი ნების წინააღმდეგ ათხოვებდა უცნობ ადამიანზე და მოაკვლევინა ეს თაველი საქმრო. ქალის ასეთი რომანტიული აჯანყება მაშის ავტორიტეტის წინააღმდეგ ძველ მა ქვეყანამ არ იცის. რუსთველმა პირველმა შეაღო ჩვენი დროის რომანტიზმის კარები. ხოლო რომანტიზმი იგივე ინდივიდუალიზმი. პიროვნება წინ წამოყვებულა, მისი ერთათერთი გზა და ხიდი მისი იყოლია, რომლის გასამარჯვებლად ქვეყანას შეებრძოლებდა. აქ «მე» ეპირდაპირება მთელ ძველ ადამ-ჩვეულებას, ყველა ავტორიტეტს, არ ემორჩილება მეფესაც და ბრძოლით იმარჯვებს.

შოთა შემოქმედების დამახასიათებელია გრძობათა იდეოლოგია; ის სავესები გმობს მისი დროის რომანიულ ლიტერატურას, რაიცა გაუქვლითლია გრძობათა ვულგარიზაციით: სიყვარული სხვაა, სიძვა სხვაა; პოეტი ფატმანას ქი ბოდიშს ხისი, ის სუქმანი იყო, ხოლო ქმარი კი მკული. ცოლ-ქმობის აგება სიყვარულზე. ერთი მეორის გავებზე პოეტის უმაღლესი იდეალია და მას სწორად მთელ თავის ნიქს. გმირები ამ იდეალს ემსახურებიან, ე. ი. სასიამოვნო ცხოვრებას ეტრფიან, მაგრამ მიუხედავად ამისა სიამოვნება მათთვის არ არის უმაღლესი იდეალი: მის მალაა აყენებ «სახელის მოხეყას», ხალხის თანაგრძობის და პატივის დამსახურებას. ამით შოთა გმობს მის დროში გაბატონებულ მიმართულებას ლიტერატურაში, რაიცა იხატებოდა სპარსული სიტყვით სუფიზმი, ეს ახლათ აღდგენილი

*) ერთათ ერთი პირი, რომელმაც, ჩემის ცნობით, ყურადღება მიიქცია ამ დიდ საქონის და შეეცადა ქართველი ქალის როლის დახატვა ჩვენი ისტორიის გარდატეხის პერიოდში, არის ქან თამარა გოგოლა-შვილი-პაპავისი. მისი დიდი შრომა «დიდი სახეები» ეს პირველი ცდაა ამ მიმართულებით, ცდა მეტრათ საინტერესოთა და გონიერათ შესრულებული. აქ გამოყვანილია ქალები კულნისებში მომქვლი, რაიცა სავესები შეიფერება სინამდვილეს, მათი ადგილი სწორეთ აქ არის. ავტორს აქლია მხოლოდ მსალბები, რასაც უეჭველია შეავსებს საქართველოში დაბრუნებისას.

ძველი ეპიკურეზიში. ვისრამიანი—ეს ამ მიმდინარეობის გამოხატულებაა. შოთა და მისი გმირები სტოიკებია, ცხოვრობენ და მუშაობენ მოვალეობის სქესასრულელოთ. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ გმირები არ ეტრფიან სიმდიდრის შექმენას, პირიქით «რასაცა გასცემ შენი, რაც არა დაკარგულია», «უხეილ ახსნილსაც დაბამს». ტარიელი ნადავლ ქონებას გზადაგზა სხვადასხვა პირთ უტოვებს საჩუქრათ.

შოთა სავესები ეპირდაპირება გაბატონებულ ჩვეულებებს ომის და ზავის სფეროშიაც. იმ დროს მტრის დამარცხება თავდებოდა ტყვეთა წამოყვანით და მათი ბაზარზე მონებათ გაყიდვით. თილისის ბაზარი სასულ იყო ასეთი გასაყიდი ცოცხალი საქონლით. პოეტმა კი ამ მონურ იდეოლოგიას დაუპირდაპირა თავისი საუთარი გავება ომის და ხალხთა ურთიერთობისა. ტარიელი ამარცხებს ხტაელთ, იპყრობს რაზმა-მეფეს და მის მებრძოლთ, მოყვას ინდოთ მეფის წინაშე, მაგრამ ის მას აპატივებს, ათავისუფლებს და თან ატანს ტყვეებს: «წაივდა და ყველა კაი მისი თანა წაიტანა». გამარჯვებული სამაგიეროთ ღებულობს ათას ჯორ-აქლემზე დატვირთულ სახაზინო სიმდიდრეს (საქურთვლეს) და წლიურ ხარჯს. ტარიელი ამბობს: «ორგული და მოკლავტე ნამსახურსა დავავანე, ესე არის მამაცისა მეტის მეტი სიმგულვანე». მამსადამე, გულადობა ნიშნავს ლობიორებას, ადამიანის ადამიანურათ მოპყრობას, მეტრათ მიღებს მტრულათ ბრძოლის ველზე, მაგრამ აქაც რაც შეიძლება ნაკლები სისხლის დღვას. «მათი სპანი ყოველნივე დავიბყარით, არ მოვკლანით». კერძო პირთა ქინებას არ ებიებან. ელინელებმა კი ტროია მთლათ დაანგრეის, მამაკაცები დახოცეს, ქალები მონებათ წაიყვანეს, მთელი ქალბება წაიღეს. ამასან შედარებით ქაჯეთის ციხის მოხურებნიც უფრო ადვილათ ვადარჩა აქლებას. აქ დახოცეს მხოლოდ მებრძოლნი, წაიღეს საჭურჭლენი, ხოლო თვით ქალკაი და მისი მშვიდობიანი მცხოვრებნი ხელუხლებელნი დარჩენ. მონები არც აქედან წაუყვანიათ. ტარიელი ფატმანს ასაჩუქრებს არა ტყვეებით, არამედ ქონებით: «წაივდა ქაჯთა საჭურჭლე ქაჯეთით ამიკიდა, მომიცემა, წაიღე, არ კიდე მომიყლიდა».

ერთი სიტყვით. ის პუშმანიში, რომელიც პოეტს გატარებულთ აქვს ადამიანთა ურთიერთობაში, გატარებულული აქვს ხალხთა ურთიერთობაშიც. მისი გმირები ლაშქრობენ არა ლაშქრობისათვის, ნადავლის შესაძენათ, როგორც ეს იყო იმ დროს მიღებული, არამედ აუცილებელი. გამოიწვევი მიხეზებით. ხატავლებმა დაარღვიეს დადებული ხელშეკრულება, ხოლო ქაჯეთის ტყვეთ ყავდა მეფის ქალი ნესტანი. სინამდვილეს, არსებულ ადამ-ჩვეულებებს უფრო ეთანებება მშვეთელი, როცა სწერს: «მაჰმადის ტომნი, უკრავ უომნი, მოსრნეს, მოსწყვიდნეს განქიქებულათ; ამ გამარჯვების შედეგ იყო: «აღივანეს ტყვეთა, ლარ-პორუტყვითა, არ დარჩა კაცი არ მოვლელათ». რუსთველი კი ამ სინამდვილეს უპირდაპირებს თავის კაცობოყვარულ იდეალს, რაიცა უნდა განხორციელდეს ცხოვრებაში და რაც



საშუალო საუკუნოებში არ განხორციელებულა არასოდეს. შოთა არის აღწერილობაში რეალისტი, აზროვნებაში იდეალისტი; ყველა დიდ საკითხზე თავისი საკუთარი იდეალისტიური პასუხი აქვს და მის სამსახურში აყენებს რეალისტს.

ამნაირთა, ვეფხის ტყაოსანი წარმოადგენს სამგვარი ელემენტის სინტეზს: ელინური მსოფლმხედველობის, ქართული სულის და ავტორის იდეალის. აქ გამოყენებული მთავარი გმირები ნამდვილი ქართული ტიპებია, ყველა მათი დიდი ხანა-ნაკლები ნებებით. ავთანდილ და ტარიელ ერთმანეთის დამატება, ერთიმეორეს ავსებენ, ერთიმეორეს სჭირია და სწორეთ ამ განსხვავებებზე მათი მეგობრობა და ფუძნებული. ავტორის იდეალი არ არის წარმოდგენილი როგორც განყენებული ჭეშმარიტება, მისაბძი მავალით, ათი მცნებისებური სენტენცია; ის ჩაქსოვილია თვით მოქმედების მსვლელობაში, გამოტანილია რეალურ ურთიერთობათ. ამიტომ პოეტი არ ტრამპოზს, თავისთავი მოციქულათ არ გამოაქვს, რეონერათ, მასწავლებლათ არ გვევლინება, როგორც ეს მერმინდელ პოეტებს სჩვევიათ. ჭეშმარიტი აზროვნება აქ გამოხატულია კონკრეტულათ, ადამიანთა ურთიერთობით, ფაქტებით და მოვლენებით. სულის კვეთება გამომდინარეობს მდგომარეობიდან და არა, პირიქით, მდგომარეობა აზროვნებიდან. გმირების ხასიათი და მხედველობანი სჩანან საქმეებიდან, მათი ყოფაქცევიდან. საკვირეულია, ყველა გმირი მოკლებულია სიამაყეს, თავმოქმედებას, ამბიციას. ისინი თავდაბალი ხალხია. მათ ცხოვრება უყვართ, მაგრამ სიკვდილის არ ეშინიათ. არც ერთი არ არის მორალისტი, არც თვით ავტორი; არ უყვართ სხვებისათვის ჭკუის სწავლება, მასწავლებლობა, ქურთუთა თავის თავის დასახება. მათი სიტყვა და საქმე ერთია, ერთმანერთზე კიდია, ერთიმეორეს ეთანხმება. არც სიტყვაში, არც საქმეში არ სჩანს მათი გაორება, წაუქე უკუუქეობა, ულოკიობა. არანაშ შეყვარებულნი, მხოლოდ სიყვარული თავისებურია: ის არის მორცხვი, ხან მკვებე, ხან რაინდული, ხან ტკბილი და ზრდილი, მომცემი ხან ბედნიერების, ხან უბედურების. გონიერი, გატაცებული. მაგრამ არასოდეს არ მიდის თავდავიწყებამდე. ამ სფეროში ყველა გმირს თავი მართლა მას ახლავს, გული ვერ ერევა გონიერებას, გრძნობა ვერ ჭარბობს ხასიათს, მოვლევობა ყოველანაშ პირველ რიგზეა. ავთანდილ, ტარიელ, ნესტან-ი ქართული ნაციონალური ტიპებია, ამოკლებილი ძველი ქართული სინამდვილისაგან. ისინი რჩებიან მისაბძ მავალითებთა დღევანდელი ქართველობისათვის.

დროა გავათავოთ. შოთახე წერა შეიძლება დაუსრულებლივ, მისი მარგალიტების ამოკრეფა და ახსნა-გაგება მრავალ ტომს მოითხოვს. რაცა ვთქვით საკმარისია ამ ხანათ პოეტის ფიზიონომიის ნათლათ წარმოსადგენათ. ის არის დიდათ განათლებული, თანამედროვე საზოგადოების მაღლა განკერძოებუ-

ლათ მდგომი, აღჭურვილი მკვეთი ლოლიკით, მაღალი გონებით, ამავე დროს ხალხთან ყველა ძაღვით გადაბმული, განსაკუთრებით სალი ხალხური მსჯელობით; მისი შემოქმედებითი ნიჭი უსახდვროა, მაგრამ ეს ნიჭი მორჩილებს მას, მის გონებას, მის შეგნებას, მის წინამძღოლობას. საბოლოათ, შოთა არის პოეტი—მოაზრე, პოეტი—ობიექტიური, პოეტი—მიზნიდევლი თავისი სიწმიდით, მორალით, თავის დადებით და უბრალოობით. ის ათბობს სულს, გულს, აკეთილშობილებს ადამიანს, ამაგრებს მის ხასიათს, ამდიდრებს მის ჭკუას, აძლევს აღმაფრენას, საუკეთესო იდელს. მან გადააბა მიწური ციურს, სინამდვილე სანატრელს. ამავე დროს ის არის გულადი, არ ეშინია თავისი აზრის, რაგნდ ის რადიკალური იყოს: არ სცნობს არსებულ საზოგადოებრივ არტახებს. ის გამოდის მათი ქველიდან, იწვევს მაღლა, ძლიერ მაღლა და იქიდან დაყურებს მწარე სინამდვილეს. ის მართლა ზის პარანახე, მაგრამ კარგათ ხედავს დაბლა ჩქიფარე ადამიანთა ცხოვრებას. ის ეშვება მასში ორივე ფეხებით, მაგრამ ხელს არ უშვებს ზეცას. მას სურს საზოგადოება ასწიოს, მაღლა აიყვანოს და მით ნატურა გახადოს შესრულებულთ. ის არის მონარქისტი, მაგრამ არ ინდობს მეფესაც, თუ მან გადაუხვია გონიერებას. მან გასწირა ინდობა მეფე ქალის ძალათ გათხოვების გადაწყვეტისათვის. ის უგალობს სიბრძნეს, გონიერებას და სიყვარულს. ის მოხერხებულათ აერთებს ოცნებას და სინამდვილეს. შოთა არ არის სანტიმენტალისტი, ცარიელი სიტყვებით თანაგრძობის გამომწვევი. არ უყვარს მისტერიები, გამოუცნობელი საკვირვლებათა წამოხენება. ის არ ასწერს წასულს, არ ეხება არც მომავალს. ის აგვიწერს მხოლოდ აწმყოს, მიმდინარე ურთიერთობას, მაგრამ მასში ჩაქსოვილია დიდი მომავალი, გამოკვეთილია სავალი გზები. მას არ უყვარს ინტრიგები, ეს დაბალი მწერლების მაღლი ფარხმალი; მისთვის სინამდვილე, მდგომარეობა ყველა გამოგონილი ინტრიგის სჯობის; ის ლაპარაკობს გმირის საშუალებით. ხოლო გმირი დაპარაკობს თანახმათ მისი მდგომარეობისა. ლაპარაკობს პირდაპირ, მიუკბი-მოუკბიავათ, არც ალუგორიები, არც გადაპარებება, არც კომიკური სცენები, არც უიმედობა...

შეიდას წელიწადია რუსთაველი ანათებს ქართველის სულს; ის გვასწავლის ჭირში გამაგრებას, ლხინში ზომიერებას. ის ჩვენი მუდმივი სულიერი მოძღვარია...



კ ი ლ ე მ ა ვ ა ჯ ა ლ ი შ ვ ი ლ ი

ბ. ავალიშვილი არ ცხრება. ის ოსმალეთის ნამდვილ დეოკრატად გადაიქცა. არ ზოგავს შრომას და ენერჯიას. რომ როგორმე ოსმალეთს ათონინ-არდაგან-ბათუმი ჩააბაროს. ჯერ სცადა საქმის მოგება ისტორიულ-კულტურულ-რელიგიური მოტივებით, მარა არაფერი გამოუვიდა. ახლა საქმე იურდიულ სფეროში გადაიტანა და «კავკასიის» მე-2 ნომერში ცდლობს დაამტკიცოს რომ აღნიშნული სანჯაყები ეკუთვნის ოსმალეთს თუ გინდ იმიტომ რომ მას საქართველოს მთავრობამ გადასცაო. მართალია, საქართველოს მთავრობამ განაცხადა—არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა, პირიქით, ოსმალეთი გაკვირების დროს დაგვეცა და წაგვალლიტაო—მარა, ის რაღა ოსმალეთის დეოკრატ იქნებოდა, რომ თავის ქვეყნის მთავრობის განცხადება დაეცემებოდა. რაჟი დღემდე მის მიერ აღმოჩენილ-წარმოადგენილი საბუთები ყველა ყალიბი და საეჭუო გამოდგა, ახლა ის შესდგამია ძველი ნაწერების ქექვას და მოყვას იქიდან ადგილები, რომელიც მისი აზრით ამტკიცებენ რომ ეს ადგილები საქართველოს მთავრობას, უეჭვლად, გადაცემული აქვს ოსმალეთს. მართალია, მის მიერ ნაპოვნი ნაწერები ბევრი სახლაპრო რამეებია მოთხრობნი, მაგ. «მენშევიკური მთავრობის ჩამოგდება», დატეხის და ფაქტების არევა, «ლაპარაკია არა სკამათ ნათელ გამოთქმებშიო», როგორც თვითონ აღნიშნავს და ისიც რომ, მისივე თქმით, ამ წერილების ავტორები თურმე თვით ოს მალბები, მარა ეს არაფერიაო, საინტერესო ის არი. სო. რომ ყველანი ადასტურებენ საქართველოს მთავრობის მიერ ოსმალეთზე ამ ადგილების გადაცემას. იმ იუვეების შემდეგ, რომელიც მანვე გამოსთქვა ამ წყაროების სისწორის შესახებ—კეთილსინდისიერი მკვლევარი აღარ ისარგებლებდა იმით, მარა ბ. ავალიშვილი არ ეკუთვნის მკვლევართა იმ კეთე-გორიას, რომელიც ყველაზე წინ სიმართლეს და სინამდვილეს აყენებს.

გავსინჯოთ მაინც მისი ახალი «საბუთები». მას მოჰყავს ვრცელი ამონაწერი «ოსმალეთის ახალი ისტორიიდან» სომხეთზე, სადაც თურმე ჩვენს შესახებ სწორია შემდეგი: «იმ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც გაიმართა ელჩთან, რომელიც ქათველებმა ანგორაში გამოგზავნეს, ისინი (ე. ი. ქართველები, გ. უ.) ვალდებული გახდნენ დათანხმებულ იყვნენ არდავანი. ართვინი და ბათუმი დამორჩილებოდა თურქების ადმინისტრაციას. ამ ოლქების მპროვებნი აუწერელი სიხარულით შეხვდნენ თურქების ჯარს (1920 წ. მარტი) და სხ. «ამ ნაწყვეტშიო — შეინშნავს ავალიშვილი— შეიძლება ბევრი რამ არაა სწორი, მაგრამ საქმე იმაში კი არაა, არამედ იმ მტკიცებაში, რომ ოსმალეთის მთავრობის საქელჩ. ს. მდივანთან მოლაპარაკების შედეგად, საქართველოს მთავრობა დასთანხმდა გადაეცა ოსმალეთისათვის არდავანი, ართვინი და ბათუმი—ო. რატომ მაინც ადამაინც ესაა სწორი და არა სხვა? ალბათ იმიტომ რომ ავალიშვილს უნდა ეს ასე იყოს,

მას სჯერა ოსმალეთის და არ სჯერა თავის ქვეყნის მთავრობის. ბ. ავალიშვილმა ამ წერილში პირველად ჩარია დავაში განსვენებული ს. მდივანი. ესლა მას აღარ შეუძლია პასუხი გასცეს, თუმცა, საკმაო რისი უნდა ყოფილიყო მისი საჯარო განცხადება 4 დეკ. საზოგადო კრებაზე, რომ არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა, ყოველივე ეს მოჭორილი ამბავიაო. ბ. ავალიშვილს მაინც არ სჯერა ეს და. ალბათ, უნდა ისარგებლოს იმით, რომ «მკვდრებს პასუხის გასცემა აღარ შეუძლიათ». მარა ცდება. არსებობს საბუთები და მის მაკვირ ისინი ამტკველებდნენ.

ავალიშვილის მიერ ზეით მოყვანილ ნაწყვეტში, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს დატა. აღნიშნულია 1920 წ. მარტი. შეიძლებოდა ეს დატა კორექტურულ შეცდომად ჩაგვეთვალო, რომ თავის წერილში თვითონ არ სწერდეს ს. მდივანზე, როგორც საქართველოს ყოფილ წარმომადგენელზე ანგორის მთავრობასთან 1920-21 წ.წ. რატომ დასტორდა ბ. ავალიშვილს ასეთი ტყვილი? ნუ თუ მან არ იცის რომ 1920 წ. ჩვენ არავითარი ელჩი არ გვეყლია ანგორის მთავრობასთან! ჩვენი ელჩი ჩავიდა ანგორაში მხოლოდ 1921 წ. 31 იანვარს, რწმუნების ქალაქი ჩააბარა ქემალ-ფაშას 8 თებერვალს. როგორ შეეძლო მას ყოფილიყო ელჩად 1920 წ. ანგორაში და ეწარმოებია მოლაპარაკება, ან და. როგორ შეიძლებოდა რომ ამასთან მოლაპარაკების შედეგად, საქარ. მთავრობას დაეთმო ოსმალეთისათვის აღნიშნული ოლქები და ის 1920 წ. მარტში ოსმალეთის ჯარებს დაეუბრაო», როგორც ეს ყოფილა აღნიშნული მის მიერ ნაქებ «ოსმალეთის ახალ ისტორია»-ში? ავალიშვილს, როგორც სჩანს, ყველგან «კავკასიის» აღუიტირია პაგონია და ფიქრობს ყველაფერი გასაღდებაო!

ჩვენი ელჩი ანგორაში, როგორც ვთქვით, ჩავიდა 1921 წ. 31 იანვარს. ის კარგად მიიღეს. სურვილები კეთილმზობლობისა და ტერიტორიული დაუინტერესებლობისა ბევრი გამოითქვა. მაგრამ სადაო საკითხებზე საფუძელიან მოლაპარაკების დაწყებას ყველა გაუბრძოდაო—სწერს ის ერთ თავის მხსენებაში. არც ერთი კორექტურული წინადადება საფუძელიანად 21 თებერვლამდე არ ყოფილა მათ მიერ წამოყენებულ; სიტყვიერად კი ყველა კომისარი სხვადასხვა აზრებს გამოთქვამდნენ. მაგრამ წერილობით ამ დრომდე ვერც ერთი მათი წინადადება ვერ მივიღა და ეს იმიტომ რომ სწორედ ამ დროს იწყებოდა ლონდონის კონფერენცია. სადაც მიწვეული იყო მათი წარმომადგენლები და ყველაფერიდან სჩნდა, რომ უცდიდნენ მის შედეგებს. რომელსაც გადაამტკიცო მნიშვნელობა ექნებოდა მათთვის საქვეყნაო საკითხების შესახებ. მხოლოდ 21 თებერვალს მიიღო მან წერილობით წინადადება ულტიმატური ხასიათის, რომელიც დამატრებული იყო ნაც. კუბის გადაწყვეტილებაზე მარომელიც შეეხებოდა არდავანის და ართვინის ოლქების დაკავებას ოსმალეთის მიერ. ამის საპასუხოთ ელჩმა,



მეორე დღესვე, 22 თებერვალს, ვადასცა ანგორის მთავრობას, წერილობით პასუხი, სადაც, სხვათა შორის. ნათქვამია: «თქვენ მიერ განძრახული მოქმედება არღვაგანსა და ართვინის ოლქებში შესვლისა, ჩვენთან შეუთანხმებლად, არის განმეორება იმ დიდი ისტორიული შეცდომისა, რომელიც ძველმა ოს. მალეთმა, განუწყვეტელი თავდასხმით, აიძულა ძველი საქართველო მოეყვანა ოსმალეთის კარზე მისი, დაუძინებელი და უსასტიკესი ტერორი—რუსეთი და მით თავის თვისც დაუსაკეც. იგივე მეორდება დღესაც: როცა, ერთის მხრით, ახალგაზრდა ოსმალეთი ჩამშლული საზინელ ბრძოლაში თავის დამოუკიდებლობის დანაცვად, ხოლო, მეორეს მხრით, ახალი დემოკრატიული საქართველო უსასტიკეს ბრძოლას აწარმოებს თავის თვისუფლებისა და არსებობის შესანარჩუნებლად. თანგრედ აღ დროს, ნაცოხს. დი. დმა კრებამ ვადასწყვიტა თავდასხმა საქართველოზე. ამიტომ სასტიკსა და ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ ასეთი ძალადობის წინააღმდეგ და თან, ნების ვაძლევ ჩემს თავს განაცხადო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ძალით შემოჭრის შემდეგ, რაიმე საკითხის გადაჭრა კავკასიის შესახებ საქართველოს დაუქონსავად შეუძლებელი იქნება და სხ.

პასუხად ელჩმა იმავე დღეს მიიღო საგარეო საქმეთა კომისიისაგან ახალი ნოტა, რომლითაც ის თავის მთავრობის დადგენილებას ასახუთებდა სანსტეფანოს ხელშეკრულებით, ინგლისელების წასვლით და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით. 23 თებერვალს. მ. შიდვანმა ამ ნოტას პასუხი გასცა, სადაც დარწმუნული ყველა ჩამოთვლილი საბუთები და თავდება ასე: «ჩემს ნოტაში (ზემოთ მოყვანილ 22 თებერვლის ნოტაში. გ. უ.) თქვენს აღმატებულებას შეუქართო დანახვა მოუწადინებია. შემიძლია და. ვარწმუნო, რომ დემოკრატიული საქართველო და მისი მოღვაწეინ არასოდეს არავის ემუქრებიან. მხოლოდ ერთი კია, ვისაც სურს ანექსია მოუხდოს სპართველოს რომელიმე მხარეს, მათთვის დემოკრატიული საქართველოს შემდეგი პასუხი აქვს: ამას თქვენ ვერ შეხსლებთ! ამით ვათავებ და ამის შემდეგ ამ საკითხს აღარ დაუბრუნებები»-ო და სხ.

უკანასკნელ თავის მოხსენებაში ელჩი იუწყება რომ არღვაგანის და ართვინის ოლქებში დაუყოვნებლივ ჯარების შეყვანა, ჯერ კიდევ, 17 თებერ. ვადასწყვიტეს, სწორედ იმ დროს, როცა თიღლის ასეთ საფრთხეში იყო და მთავრობა მზათ იყო იქიდან გასულიყო. არავითარი ჩემი წინადადება არ მიიღეს და საბოლოოდ მაცნობეს რომ 18-ს დილით ჯარი არღვაგანში იქნებოდა. ჩემი პასუხი ამახეს იყო, რომ პასპორტები მოვითხოვე და განუცხადე: 18-ს დილით, ჩემი მთავრობის შეუკითხავად, მივდივარ მეთქი, ვინაიდან არ შემიძლია იმ მთავრობის წინაშე დარჩენა, რომელიც მეზობლებს გაჭივრების დროს ზურგში დანის დაკვრას უპირებდა. მხოლოდ მაშინ ქემალთმა შეაჩერა განჯარულება და ასეთი ბრძოლით 17-23 თებერვლამდე, ხუთი დღით ვადასცო არღვაგან-ართვინის ოკუპაცია» და სხ.

ასე იდგა აღნიშნული ოლქების საკითხი ჩვენი ქვეყნის ტრალიკულ დღეებში, ასე იბრძოდა განწი-

რული ქვეყანა და მისი წარმომადგენლობა მისი უღალაწაუყვანილი შესარჩენად გაუმაძარ მეზობლებისაგან და როცა ახლა გამოდიან ჩვენი თანამემამულენი და ასე ადვილად იღებენ ხელს და ყოველგვარი საშვალეობით ცდილობენ დაამტკიცონ თითქოს ეს ოლქები ოსმალეთზე გადაცემული ყოფილიყო—მოდით და ნუ იტყვი, რომ ისინი მტრის საქმეს არ ემსაზურებიანო...

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ ადვილი მისახვედრია თუ რა ფასი აქვს ავლიშვილის მიერ მოყვანილ ცნობას «საერთაშორისო საქმეების მიმხიზლიდან», რომელიც გამოსულია ინგლისში 1925 წ. და სადაც თურმე სწერია: «22 თებერვალს, 1921 წ. ანგორამ გაუგზავნა საქართველოს მთავრობას ულტიმატუმი, (ლაპარაკია იმ ულტიმატუმზე, რომელიც ზვეით მოვიყვანე. გ. უ.) რომლითაც ითხოვდა ართვინის და არღვაგანის გადაცემას. მახე საქ. მთავრობამ თანხმობა განაცხადა, მზა იმ პირობით, რომ ოსმალეთი იმავე დროს დაიკავებდა ბათუმსაც, რომ ის არ ჩავარდნოდა ხელში ბოლშევიკებსა. ამ ცნობის სიყალბე, მისი ტენდენციოზობა, თუ ვინღ, ამითაც უნდა ყოფილიყო ნათელი ავლიშვილისათვის, მას რომ მართლა სიმართლე აინტერესებდეს, რომ იქვე მოთხოზილი ყოფილა, მისივე გადმოცემით, თუ როგორ გახალა 17 მარტს ბრძოლა თვით ბათუმში თურქ და ქართველ ჯარების შორის და ქართველებმა, რომელთა უკან იდგენ რუქები შესძლეს ოსმალეების განდევნა ქალაქიდან» და სხ.

ნუ თუ ავლიშვილმა არ იცის რომ თვით ბათუმის ქალაქში არავითარი ბრძოლა არ ყოფილა, არც არავის არავინ არ გაუდენვია და არც საქ. ჯარების უკან არავითარი რუსის ჯარები არ მდგარა. და თუ არ იცის—ვიინ ატანს ძალას ხს სხვისი ტყვილები ხალას სიმართლეთე ახალოს!

1918 წ. მე ვსწერდიო—განაგრძობს ის—რომ ბათუმის ქართველ მუსულმანებს თავისად სთვლიან ქართველები (როგორც ქართველებს), თურქები კიდევ თავისად (როგორც მუსლიმანებს), მზა როგორ სთვლიან თავის თავსა ისინო? კითხულობს და სხ. რატომ სწერს ის მესამე პიროზე—«თავისად სთვლიან ქართველებიო? რატომ არ სწერს: ჩვენ ქართველებიო? მასაც ხომ ქართველად მოაქვს თავი? რაკი ავლიშვილმა არ იცის (თუ როგორ სთვლიან თავის თავს თვით ისინი) ე. ი. ქართველი მუსლიმანები—ჩვენ დავეზმარებთ მას ისეთვეს ეს.

სამუსლიმანო საქართველოს იმ ხანებში ქონდა თავისი ვაზით «განახლებული მესხეთი», რომელიც თავის პირველსავე ნომრის მოწინავეში სწერდა: «უდიდესი ბედნიერების და სიხარულის ხანა გვიდგება. საქართველოს მთლიანობის იღვა აღსცდა სამუსლიმანო საქართველოში და დღეს თუ არა ხვალ ბათუმის საკითხი გადაწყდება. ამით დასრულდება ქართველი ერის ტრალიდი, რომელიც საუკუნოების განმავლობაში ანგრევდა ჩვენს ყულტურას, ორ ძმას ხელეწიურად თიშავდა» და სხ. ამა არ იცოდა ამის ავტორმა თუ 1938 წ. გამოჩნდებოდა ქართველი პროფესორი, რომელიც ამ გათიშვას კანონად აქცევდა!



ვიციტ ეს ცნობა არ ეყოფა ბ. ავალიშვილს, ამიტომ მოვიყვანთ კიდევ უფრო ავტორიტეტულს. 1919 წ., 31 აგვისტოს, ბათუმში შეიკრიბა ქართველ მუსლიმანთა წარმომადგენლების ყრილობა და მიიღო შემდეგი დადგენილება: «ბათუმის ოლქის მუსლიმანთა წარმომადგენლები, რიცხვით 100 კაცი, ვაცხადებთ ღვთისა და ქვეყნის წინაშე, რომ ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლით და ხრტილით, ენით, კულტურით და ადათებით ერთ მუსლიმანი ქართველები და ტერიტორიალურად და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედასამშობლოს საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. გამოსვტქვამთ შეუზღვეველ ნებისყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას — ამიერიდან და სამარადისათ ბათუმი და მისი ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ნიადაგზე. დადგენილება ესე ეცნობოს პარიზის საზოგადოებრივ კონგრესს და ეთნოლოგის საქართველოს მთავრობას მიიღოს ყოველივე ზომები ჩვენი დადგენილების განსახორციელებლად. თუ ამას დაუმატებთ იმასაც, რომ ეს დადგენილება მიღებულ იქნა მაშინ, როცა ბათუმი და მისი ოლქი ეჭვითა ინგლისელებს და თვით ქართველები დევნილი და გაძევებული იყვნენ იქიდან — ამ დადგენილების მნიშვნელობა კიდევ მეტი ღირებულების იქნება. აღსანიშნავია ისიც რომ 1914 წ., დიდი ომის დროს, სამუსლიმანო საქართველოდან მრავალი მუსლიმანი გააძევეს, როგორც არა სანიმუშო. არც ერთი მათგანი არ დაბრუნებულა არც ოსმალეთის და არც ინგლისელების ბატონობის დროს, თუმცა ამის სრული საშვალეება ქონდათ. დაბრუნდეთ მხოლოდ მაშინ, როცა ბათუმი მხარე შეგნაურთდა საქართველოს. და ეს უტყუარო მაჩვენებელია იმის. თუ ვის უფრო მეტი ნდობით ეპყრობოდენ ისინი.»

ბ. ავალიშვილი გულმოდგინედ სწავლობს ყოველივე იმას, რაც ენება ოსმალეთს, ხოლო თავის ქვეყნის ახალ ისტორიას, როგორც სჩანს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს. თორემ ეცოდინებოდა რომ სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია გამოაცხადდა არა ეჭვანულადა ყრილობამ, როგორც ის წყნის. არამედ საქართველოს პარლამენტმა და ამ დადგენილების თანახმად. 1919 წ. 25 დეკ., მთავრობის თავმჯდომარე ნ. კურდიანიმ მიმართა მათ მოწოდებით, სადაც შეიქვამია: «რამდენიმე საუკუნის წინეთ, დროთა ვითარებით, თქვენი მოსწყდომი ძველ საქართველოს და მას ჰერსა და ლხინში გამოეთიშეთ, მაგრამ თქვენი სულიერი კავშირი სამშობლო კერასთან, საქართველოსთან, არ შეწყვეტილათ. თვით დაუძინებელი მტერიც კი თქვენ გურჯბად, ანუ ქართველებად გიხსენიებდნენ. მიუხედავად სასტიკი დევნისა. თქვენ დღემდის შეინარჩუნეთ მამა პაპათა ენა და ადათები. თანახმად მივლით საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყოველივე გაუგებრობის თვიდან ასაცილებლად, საქართველოს დემოკრატ. რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას. თვით მუსლიმან-ქართველებს წარმომადგენლები გამოსცემენ კანონებს, რომლითაც ისინი თავის გემოზე მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მოაწყურებენ ადგილობრივ საქმეებს, დაამყარებენ სამშობლო მხარეში ბედნიერებას» და სხ.

და აი, ყოველივე ამის შემდეგ ავალიშვილი ჩაფრინდა ოსმალეთის მიერ მოხდენილ აქტებს და გვეჩიხინებდა — მუსლიმანი ქართველებს ოსმალეთთან ურჩევნიად ყოფნაო. ტყვილად კი არ უთქვამთ: როცა კაცს ძალიან უნდა რამე — ყოველგან და ყველგან ფერხი ის ეჩვენება. მარა არც ისე ჩალონდა დახურული ემიგრანტული ქვეყნა, რომ მოჩვენება სინამდვილეთ გასაღდეს, თუ გინდა მისი ფაკირი თვით პროფესორი იყოს...

გვ. ურბატაძე.

მარკსული ბრძოლა და სოციალისტური ინტერნაციონალი

ჩვენი პარტიის სოციალისტურ ინტერნაციონალის წევრობა დღესაც ღვთის წყრომად მიჩანიათ ზოგიერთ ქართულ ნაციონალისტურ წრეებს. სად ერთგულ ბრძოლის ხელმძღვანელობა და სად ინტერნაციონალი — ამბობენ ისინი. საქართველოს სოც.-დემოკრატებმა გარეშე ძალთა დაუზღვრებლადც კარგად იცის რასაც აეთვლიან. ქართველი ხალხის ნდობის გასამართლებლად მან ბრძოლა გადაიტანა ყველა იმ ფრონტზე სადაც მის ხმას გასავალი აქვს, სადაც მისი ხმალი სჭრის. ინტერნაციონალი მუშაობდა მთლიანი ეროვნული ბრძოლის ერთი რგოლია და ჩვენ გაზეთს არა ერთხელ განუმარტავს თავისი პოზიცია ამ მიმართულებით, ხოლო თუ დღეს მას ისევე ვუბრუნდებით, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენ თანამემამულეთა წარმომადგენლი ის ყალბად ისახება და გაუგებრობის შექმნით შეუძლია ზიანი მიაყენოს ბრძოლის დინამიზმით ანთებულ ეროვნულ დარახმულობას.

ექვს გარეშეა სოც. ინტერნაციონალის იდეის დასაბამი სოციალური ხასიათისა. ახალი აღმოჩენებით და ტენდენციურ მიღწევებით შეიარაღებული კაპიტალი იღებს ზეპროვინულ, ზეპროვინულ და უნივერსალურ ხასიათს. ექსპლუატაციის არტანებში ჩაქვილილი მოამბე მას ამ ფართე აპარატზე უპირისპირდება. ამ დაპირისპირების ხრტილის შესწავლა პირველი ინტერნაციონალია. შრომის განთავისუფლება გულისხმობს პიროვნების, ადამიანის უზუნაესობის აღიარებას. ხოლო, რადგანაც პიროვნება განყენებული ერთგული არაა, არამედ საზოგადოებრივი რეალობა, ყველა ჯურის საზოგადოებრივი დაჯგუფება ადამიანთა ბრძოლისა და არსებობის წიაღში რომ იქნება, სრული თავისუფლად ემთხვევა საკვებლობებს. სოც. ინტერნაციონალი ბუნებრივად უნდა ამხედრებულიყო ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ და ამ მიმართულებით მან გარკვევით წამაყენა ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის



პრინციპი. მართალია ამ საკითხის დასამუშავებელ მას ცალკე კათედრა არ გაუხსნია. ის მას ცალკე ქვეყნების და ადგილობრივ პირობების მიხედვით სჭირდა. არცერთ დემოკრატიულ-ლიბერალურ მიმართულებას, რომლის იდეოლოგიამ რამე დალი დასავსა საზღვაოებრივ ევოლუციას მეტროპოლიტე საუუნის გასწვრივ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ისე მეკატრად და გარკვევით ბრძოლის დროშა არ აღემატებას, როგორც ეს სოც. ინტერნაციონალმა მოიმოქმედა. ის ურეგულად შეუერთდა მეტროპოლი პოლონიეთის განთავისუფლების იდეას და ხელთ აიღო მისი პოპულიარიზაციის საქმე უსჯულოში. ამ ქვეყნის ეროვნული განთავისუფლება მოექცა ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფარგალში. ისტორიული ვიივალახით და რუსულ იმპერიალიზმის საწამლავით მიინებულ ი საიკრთელა და კავკასია ამ დროს საქონაშორისო პოლიტიკის მიღმა იდგა. მიუხედავად ამისა სოც. ინტერნაციონალის ხელმძღვანელმა პირველმა აღიშნა ხმა მის დასაცავად და ინგლისის მთავრობას ურჩევდა ჯარი გადაესხა კავკასიაში ამ მშვენიერი კუთხის ჩრდილოელ ბარბაროსთა ბატონობისგან გასართავისუფლებლად. მისი წარმოშობის სოციალური ბუნება არა თუ არ უშლიდა ხელს ინტერნაციონალს ეროვნებათა თავისუფლება თავის დროშაზე დაეყრად, არამედ, პირობით, უკანასკნელი პირველისაგან ლოიკურად გამოძინარგობდა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო სისტემაში იმანებრთი აუცილებლობით თავსდებოდა. ამიტომ იყო, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მისმა მოვლინებამ იმედის ცეცხლით აანთო ყველა ჯუარის დაჩაგრულთა გული. მან გამოხმაურება კპოვა ჩვენს დაუპყრ სინამდვიეშიც ჯერ კიდევ მესამე დასის ლაშქრებამდეც კი.

ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ბევრმა წყალმა გაიარა და ბევრი ღირებულება გადაფასდა. ამ წლების ფარგლებში ეროვნულ-კულტურული და ეგვრთინებულმა საქართველომ თავისი უყვე გამოვსა და მოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსებაში დაეხსანა. ისტორიულად სადაო გზაჯვარედინზე მდებარეო სუსტ ვრს მოკავშირე და მეგობრები სწორედ ამ მომენტში სჭირდებოდა.

პირველი მნიშვნელოვანი დეფეკაცია, ჩვენს ქვეყანას რომ ეწვია, იყო სოც. ინტერნაციონალის დეფეკაცია მისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით. ამ ხალხის როლი საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს დაცვის და პოპულიარიზაციის საქმეში დარჩენა ჩვენი საგარეო მუშაობის უმნიშვნელოვანეს ეპიზოდად. დამოუკიდებლობის სამიწლის მანძილზე ჩვენი პრესტიჟი საგრძობლად გაიზარდა. საქონაშორისო ქალის პირობებში ჩვენ მივალწით ფაქტორი მდგომარეობის იურიდიული დადასტურებას. ჩვენი ისტორიის და კულტურული ვითარების, ჩვენი საუკუთრობით განმტკიცებელი ეროვნული თვისებების და ბუნებრივი მდებარეობის ვაკუნობით ჩვენს საქმეში დაინტერესდენ არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ მეცნიერები, ეკონომისტები და ფინანსისტები. ქართულ სიმდიდრეების

დამუშავებას ვარდისფეროვანი პერსპექტივები გადაეშალა. უსჯოლ მეგობრების შეძენის ფაქტი, საქართველოს დიპლომატიურ-საორგანიზაციო მუშაობის შემდეგ რომ წარმოადგენდა, თავის მხრივ ადგილობრივ ეროვნულ სახელმწიფოებრივ მუშაობის სტიმულად გადაიქცა და წახალისებულმა ხალხმა ერის სამსახურში ჩაბა ყველა მისი ბუნების შინამყალი თვისებები. სოც. ინტერნაციონალს, როგორც საერთაშორისო სოლიდარობის ორგანიზაციას, მხოლოდ მორალური არსებობა გაჩნდა მისგან მორალური დახმარების მეტის მოთხოვნა აბსურდი იქნებოდა. «რეალური პოლიტიკის» ხელმძღვანელი კი ერთა ლიგაში ისხდენ და ჩვენ ვიკითროვარ მოკყრა ეს ორგანო ჩვენს საკითხს. მაშინ, როდესაც დაჩაგრული საქართველოს დაცვა პრინციპიალურად გამოძინარგობდა ინტერნაციონალის შინაბუნებიდან, «რეალური პოლიტიკის» ინტერესები ჩვენსას არ შეხედდენ და ლიგის გარედ ვაგრით. როდესაც მაკონალდა და სწოდენი ბრძოლებს სცემდენ დამპყრბის ტრბოუნდათ თავინთ ავტორიტეტულ ხმას უერთებდენ თვალბედითი ყოთანის ბრუკლებიდან განთავისუფლებულ ქართვებას ხმას, ლოდ ჯორჯი პილატეს მსგავსად ხელს იბანდა და ჩრდილოელ დათეს ჩვენს მამაპაპათა სისხლით განბანილ მინდორ-ველებზე სანაგდლოთ უშეობდა. ამ ხელის დაბანამ გამოიღო მწარე ნაყოფი და ჩვენი ქვეყანა აუტანელ ჯოჯოხეთად აქცია. ამ მორიგი კატასტროფის შემდეგაც სოც. ინტერნაციონალმა პირველმა აღიშნა თავისი გავლენი ხმა ჩვენს სასარგებლოდ. მან ერთხელ კიდევ ენერგიულად მიაბიჯინა ჩვენი მტკივნეული საკითხის წვეტი ენევის ბუეებს და უმავალითო ბარბაროსობის წინააღმდეგ კონკრეტული ზომების მიღება მოითხოვდა. ხოლო, როცა ბოლშევიკურ რუსეთთან დიპლომატიურ-კომერციული ურთიერთობის საკითხი დაგა, იმავე ლოიკურჯრება განაცხადა: ჩვენ ვაჭრობას ვაწარმოებთ კანინალებთან, რატომ არ უნდა ვივაჭროთ საბჭოთა რუსეთთანო. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ლოიკ-ჯორჯის მავალითო, რადგან ის ბრუეუაზიული ლიბერალიზმის უღაო კლასიკური წარმომადგენელია. საერთაშორისო გაცულა-გამოცელის ფერხულში ჩაბმა უდიდესი გამარჯვება იყო ბოლშევიკების სულთმობიოვ ეკონომიკისთვის და ეს გამარჯვება მოამზადეს სწორედ მათ, ვინც მასში უშუალოდ დაინტერესებულნი იყვენ. ორმუხდისა და არიშინის, სიკეთისა და ბორბტების მღერთს ისტორიულ შეხეთქებაში ურცხვად იჩინა თავი ვაჭრობისა და მოგების ინტერესმა, სამარცხენია ყალიბში რომ ატარებს ადამიანის ბულის ყოველ კეთილშობილურ გაქანებას. ერებისა და საზოგადოების ცხოვრებაში იშვიათია ინტერესთა ამ ორი სახეობის შეგვედრის ბუნებები და რა ვასაკვირია თუ მუხთაღმა ბედმა ამ იშვიათობის ობიექტად არ გავგანადა ჩვენ! სოც. ინტერნაციონალის იდეოლოგია-საქმიანობიბამ ვაჭრობისუბლია მოგების პრინციპი. მისი თანაგრძობა და ბრძოლა იყო, არის და რჩება უანგარო და წარმავალ ინტერესებიდან თავისუფალი. და ეს თანაგრძობა ძვირფასია



იმდენად, რამდენადაც ის უძლიერესი ორგანიზაციაა თავისი წყობით. გავლენით, იდეალისტური გაქანებით და არცობობით დარახმულობით. ხუმრობა საქმეა 20 მილიონი ადამიანის ლოცვა-კურთხევა ჩვენს უთანასწორო ბრძოლის პირობებში? გამარჯვების მორალური ფაქტორი ხომ იმედია? ანა და რა უნდა იყოს ამაზე მეტი იმედის მომცემი საერთაშორისო ინტერესთა დაჯახების პროცესში?

მაგრამ რჩება მისი მოსკოვთან დამოკიდებულების ტიპიკურული საკითხი. აქ გულსინტევიანთი უნდა აღენიშნოს, რომ მართლაც მოხდა ნაცადი ხაზის ერთგვარი გამრუდება, მაგრამ ჩვენს დროში ადამიანთა რომელი საზოგადოებაა გაუბნარავი, რომ ამ მოვლენამ გაგვკვირვოს?

სოც. ინტერნაციონალი მოსკოვთან დაახლოებით ფიქრობდა დემოკრატიის გაძლიერებას, დაბნეული საზოგადოების ახსნას და პოლიტიკური ტიპიკების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მიზეზით მან შეანდოა კიდევ რუსული იმპერიალიზმის და ბარბაროსობის მსხვერპლთა დაცვა. ეს არის მისი შეცდომა, რომელიც კიდევ უფრო ახრთულებს საერთო დაბნეულობის გაფანტვის საქმეს. აქ ნათლად სჩანს თანამედროვე კრიზისის გავლენა სოციალისტურ აზროვნებაზე. კრავის ვადასარჩენად მეგლთან დაკავშირება არავის გაუგონია და ამ ყალბი სტრატეგიის შედეგად ინტერნაციონალის შინა უთანხმოება. ეს უთანხმოება ასურტებს მის დინამიზმს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღენიშნოს, რომ ტენდენციათა დაჯახებაში იქ მუდამ წმინდა დემოკრატიული ხაზი იმარჯვებდა, ბოლშევიზმების ყველა ცდა მოსკოვთან ორგანიული დახლოებისა მარცხით დამთავრდა და მალე მასზე ფიქრიც აღიგებდა მისი ზედაპირისაგან. თითქმის ყველა დემოკრატიული ქვეყნების სოციალისტები, მოსკოვის გულუხვი დაპირებების მიუხედავად, გადაპრით გაიმიჯნენ კომუნისტური ავანტიურისაგან და გარკვეულ ისინი საზოგადოების და პოლიტიკის სფეროდან. ასე მოხდა ინგლისში, ბელგიაში, პოლანდიაში, სკანდინავიის ქვეყნებში, ჩეხოსლოვაკიაში და სხ. წმინდა სოციალისტური პოლიტიკა ყველა სხვა პოლიტიკაზე მკაცრად დაეჯახა შესამეხ ინტერნაციონალის დემაგოგიას. ამ ორ პრინციპიალურად მტრული პოლიტიკის შერეობის ცდა დღევანდელმა სინამდვილე მამარცხა თავისი უღმრთელი ლოლიკით. ეს ფაქტი სწრაფ ინტერნაციონალის აღნიშნულმა სექციებმა და აქით მიმართეს თავიანთი საქმიანობის გეზი.

სოც. ინტერნაციონალი თანდათან თავისუფლდებოდა იდეოლოგიურ კრიზისის ბრძეყალებსაგან. საქართ. სოც.-დემოკრატია დაუღალავად ემსახურება ამ გაუკურნების საქმეს. ჩვენი პოზიცია იქ ურყევია და აუღლებელი, რამდენადაც მას დიდი უმრავლესობა იხიარებს. ბრძოლის ამ ცენტრის მიტოვება ნიშნავს აუღლებელი ციკადელის მიტოვებას. სოც. ინტერნაციონალის პოლიტიკის გაორების მიზეზი საერთო იდეოლოგიური კრიზისია; წარმავალია მიზეზი, წარმავალია მისი შედეგიც. დაპყრობილი საქართველოს საკითხი რჩება მის დღის წესრიგში და მოწოდებულია კვლავ ამაღლდეს გარდაუვალ აქტუალ-

ობის მწვერვალამდე. ამ მომენტისათვის ჩვენ იქ უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი საქმე ჩვენვე ვაკეთოთ. ჩვენ ვრს სხვისი იმედით არასოდეს არ უცხოვრია და მით უმეტეს ვერ იცნობრებს ის დღეს, საერთო აღრეულობის პირობებში.

ამბობენ, თქვენი ინტერნაციონალში დარჩენა ქმნის საბედისწერო გაუგებრობას. აშინებს ჩვენ მეგობრებს და ხელს გვიშლის საერთო მუშაობაშიო. არც ერთ გულწრფელ მეგობარს ამისათვის ჩვენზე ხელი არ აუღია.

იდეათა ლოიალური დაპირისპირების და საერთო ძიების პირობებში, არც ერთი მეგობარი თუ მეგობართა ორგანიზაცია ჩვენს შინაურ ურთიერთობაზე თავის ჩვენდამი განწყობილებას არ ააშენებს. თუ ამ დაპირისპირება-ძიების გასწვრივ ხელსახედად მოსჩანს საერთო ეროვნული იდეალი.

ამრიგად, არავითარი მოსაზრება, და არც პარტიულ-პოლიტიკური, არც ეროვნული და არც უბრალო ადამიანური ინტერნაციონალის გარშემო ატეხილ განავს არ ამართლებს. ქართველი ერის განთავისუფლება ქართველთა საქმეა და ჩვენი ვალაა მუდამ ვიყოთ იქ, სადაც ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა აღიარებულია პრინციპად და უმაღლეს თვითღირებულებად. ინტერნაციონალის მცნება ეროვნული იდეის განმტკიცებას ემყარება და ცალკე ნაციათა თანსწლობა თანამშრომლობას გულისხმობს. თანამშრომლობა რიცხავს დამორჩილებას, ერთი ერის მეორეზე ბატონობას. ამდენად, მისი გახრება ეროვნული თავისუფლების საგარეო მორალური გარანტიაა და დღეს ყველაზე ნაკლებად გვმართებს ამ გარანტიაზე ხელის ალება.

კაპო.

მ გ ი რ ა უ შ ნ ი შ მ ა

ქვევით ჩვენ ვებუქვით «კავკას»-ში გამოქვეყნებულ «შემორანდუმის» თარგმანს. ამ შემორანდუმს «კავკასის» მშემ-უმ უღელვა მეთორი და იტალიელ ჟურნალისტის ბნი ისაბატოს წყობით. ამავე ჟურნალის მეოთხე ნომერში კიდევ ორი წყობილი აქვს მიძღვნილი და ერთი მათ შორის იმავე ისაბატოს. თუ მკითხველი შეადარებს ისაბატოს წყობილებს ამ «შემორანდუმის» შინაარსთან, ადვილად დაინახავს, რომ იტალიელი ჟურნალისტის კომენტარები სრული დამახინჯებაა «შემორანდუმის» შინაარსის. მაგრამ ყველაზე უფრო გასაკვირია ის, რომ ბნი ისაბატო ამ შემორანდუმს ვაბედულად უწოდებს «ფორმით ვერაგულს» და «შინაარსით ცრუს». ეს იმას ამტკიცებს, რომ ბნი ისაბატო არ ერიდებდა თავის აზრი გამოთქვას. თუ სხვისი აზრი გაიმეოროს, სხვების ფურცლებზე ისეთ საკითხზე, რომელზედაც მას წარმოდგენა არა აქვს. საქართველოს ისტორიის მასწავლებლად მას ალბად ისეთი «ვეტორიტეტები» აყავს, როგორიც ბამატი და სადათირაშვილი ბრძანდებიან. წინააღმდეგ «კავკასისს» და ისაბატოს ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ეგ «შემორანდუმ-



მიზარ ეკუთნის არც ქართველ მენშევიკებს და არც ბ. ჟორდანიას. მიუხედავად ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პარტია «მემორანდუმში» მოკლედ მოთხოვნილი ფაქტები სავსებით სწორია და მათი უარის ყოფა ან ჩვენი ისტორიის უცოდინარობით უნდა აიხსნას, ან რაიმე საეჭივო მოსახრებები.

ბ.ნი ინსაბატი არ კმაყოფილდება «მემორანდუმის» კომენტარიებით და იგი თავის წყაროს აზვებს იმ ინსინუაციებით, რომელსაც «კურკუჩ» ის სტლის ჩამდგმელები ავრცელებენ. არც ერთი კურნალისტი, რომელსაც აქვს თავის თავისა და თავის მკითხველების ორნავე პატივისცემა, თავს ნებას არ მიესცემს თუთიყუშებით იმეოროს ბანეტისებურ სიეკვო «მოღვაწეთა» ინსინუაციები; მაგრამ ბ.ნი ინსაბატისათვის, სხანს, სავალდებულო არ ყოფილა ლიტერატურული ფეთის დაცვა.

კ ა ვ კ ა ს ი ა ლ ო ს მ ა ლ ე თ ი

კავკასიის ორივე მხრიდან მეზობლებად ყავდა დიდი სახელმწიფოები, რომელნიც დაუსრულებლად ექიშებოდნენ და ეომებოდნენ ერთმანეთს: ჩრდილოეთი—რუსეთი, სამხრეთით სპარსეთი და ოსმალეთი. პირველი დიდი სისწრაფით მოიწევდა კავკასიაში, რომ გადაეღო სპარსელები და დამორჩილებოდა მოქიშვე სახელმწიფოებს. რუსეთს ამ სახელმწიფოებიდან ყოფდა კავკასიის დამოუკიდებელი ხალხები, ეს უკანასკნელი ეომებოდნენ გზახედ მათ შორის უძლიერესს—რუსეთს და ამწირად იცავდნენ შესვეიდან უფრო სუსტს—სპარსეთს და ოსმალეთს.

ასეთ პირობებში როგორი უნდა ყოფილიყო ამ სახელმწიფოთა პოლიტიკა კავკასიის მიმართ? სრულიად გასაგებია, რომ რუსეთის ინტერესს შეადგენდა ამ ზღუდვის მოსპობა და მისი გადაქცევა რუსეთის სამხედრო ბაზად, ხოლო დანარჩენ ორი სახელმწიფოს ინტერესი კი პირიქით მოითხოვდა კავკასიის დამოუკიდებლობის შენახვას, რომელიც წარმოადგენდა თავდაცვის საუკეთესო საშუალებას რუსეთის ექსპანსიისაგან.

მიუხედავად ამისა ეგ პრობლემა ვერ იქმნა გავრცელები ვერც სპარსეთის და ვერც ოსმალეთის მიერ. ესენი კავკასიის მიმართ დაადგნენ იმ გზას, რომელიც ასე რუსეთი ადგა და ცდილობდნენ მის დაპყრობას.

იმის შემდეგ, რაც დამორჩილებულ იქნა ოსმალეთი, ხოლო აზერბაიჯანი სპარსეთის მხარეკეთ ქცეული, ამიერ კავკასიაში რჩებოდა მარტო ერთი თავისუფალი სახელმწიფო—ქრისტიანული საქართველო. ეს ორი სახელმწიფო—აქანამდე ერთმანეთის მოქიშვე—შეთანხმდნენ, რომ ბოლო მოეყოლოთ მისთვის. თანახმათ იმ ხელშეკრულობისა, რომელიც ბ.ნი მოშვილი იქმნა 1835 წელს, აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, ქართლი და კახეთი, გამოცხადდა სპარსეთისაგან დამოკიდებულად. დანარჩენი ნაწილი—სამცხე-საათაბაგო (მესხეთი) და მთელი

დასავლეთ საქართველო—დატოვებულ იქმნა ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ. მიიღეს რა ეს გადაწყვეტილება, ამ სახელმწიფოების პოლიტიკა საქართველოსადმი არ იყო ერთნაირი. რადგან სპარსეთის საზღვრები არ იყო მოდებული საქართველოს საზღვრებზე. სპარსეთი უაპოფილდებოდა მხოლოდ დაწესებულ ხარკის აკრეფით იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც მას ქონდა პრეტენზიები. ოსმალეთს, პირიქით, უშუალო საზღვარი ქონდა საქართველოსთან და ეს უნდა ეფუძნებოდა მას შემოსევის შესაძლებლობას. ამის გამო მისი მისწრაფება იყო დაპყრობა და თანდათანობით ანექსია ტერიტორიის და ამ ტერიტორიაზე მობინადრე ქართველობის გაშუსულებიანება.

ორი საქუთნის (17 და 18) განმეფობაში მიმდინარეობდა შეუპოვება ამ მიმართულენით და მე-19 საუკუნის დასაწყისში მის ხელში უკვე იმყოფებოდა საქართველოს მეოთხედი ნაწილი, სახელდობრ მისი მთელი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი: არღანჯი, მენსხეთი, ოლთისი, ართვინი და ბათუმი ძალით გამოპმადიანებულ მოსახლეობით. დეკატრონა რა ამწირად ქართულ კულტურის აკვანს—მესხეთს, ოსმალეთი ემუქრებოდა საქართველოს გულს—ქართლს და იმერეთს. ამ ადგილების ანსიმილიაციის მთავარ აგენტად იქცა ახალციხის ფაშა. აი, სწორეთ ასეთმა პოლიტიკამ კავკასიის მიმართ გადაწყვიტა სპარსეთის და ოსმალეთის ბედი. ყოველ მხრიდან საფრთხეში ჩაყარნილი საქართველო იძულებული გახდა თავისი დივიჯორი არსებობის გადასარჩენად მიემართა რუსეთის მფარველობისათვის და გაეღო მისთვის თავისი საზღვრები. რუსეთმა თბილისში მოკალიათების შემდეგ თანდათანობით დაიპყრო კავკასიის სხვადასხვა ნაწილები. რუსეთმა, გახდა რა უშუალო მეზობელი სპარსეთისა და ოსმალეთის, დაიწყო ამ სახელმწიფოებთან დაუსრულებელი ომები, რომელნიც ზედებოდნენ ყოველთვის მის სასარგებლოდ.

ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო: ჩერქეზეთი და დალესტანი. ამათგან მხოლოდ ჩერქეზეთი იყო ოსმალეთის პროტექტორატს ქვეშ, თუმცა იწინისმა იგი 1838 წელს თავისი პირველი მინისტრის პაშაბერსტონის პირით გამოაცხადა დამოუკიდებელ ქვეყანად. ოსმალეთმა იგი ჩაიბრია ყირიმის ომში თავის მოკავშირედ. მაგრამ როდესაც ოსმალეთის კოალიციამ გაიმარჯვა, ჩერქეზეთის სახელიც კი არ იქნა ნახსენები საზოტრატქატში, რომელიც დადებულ იქნა პარიზში 1856 წ. ამწირად ოსმალეთმა თავისი მოკავშირე ჩაუტოვა რუსეთს ხელში და სამაგიეროდ მიიღო სხვა კომპენსაცია.

რუსეთმა საწინელი შური იძია: ჩერქეზეთის თითქმის მთელი მოსახლეობა ზღვის გზით იქნა ოსმალეთში გადასახლებული. ასე დაიღუპა თავისუფალი ჩერქეზეთი და დაიღუპა ეს კეთილშობილი, რაინდი ხალხი.

სრულიად ცხადია, რომ ოსმალეთის კავკასიურ ორი პოლიტიკა ხასიათდება მუდამ ერთი და იმავე ფისებით: კავკასიის ხალხების დამოუკიდებლობის



ურყოფა და მისი ტერიტორიით სარგებლობა და ვის ვარდამავდა ინტერგებისათვის.

რევიმი შეიცვალა, მაგრამ მან შეიტანა კი რაიმე ცვლილება სულთანების ამ პოლიტიკაში? სულაც არა. ეს დამატკიცა ახლო წარსულმა.

1917 წელს რუსეთში მოხდა დიდი რევოლუციკა. ამიერ-კავკასიის სამმა ხალხმა შექმნა დამოუკიდებელი ფედერატიული სახელმწიფო პარლამენტით თბილისში. მალე ამ ფედერაციას უნდა შემოერთებოდა ჩრდილო კავკასია. რუსეთი გადასრდილი იქმნა კავკასიის იქეთ და დაბრუნდა მეცხრანეტე სულთნის წინ არსებულ მდგომარეობაში. დასაშვებნი იყო გვეფთხა, რომ ნევრისა და ქემალ ფაშის ოსმალით ისარგებლებდა ამ ახალი მდგომარეობით, რომ დახმარებოდა თავისუფალ კავკასიას გამაგრებულყო.

სინამდვილეში კი სრულიად წინააღმდეგი მოხდა! ენერ ფაშის არმიამ დატოვა მესოპოტამიის ფრონტი და, შემოესია რა კავკასიის, ანექსია მოუხდინა სომხეთს, აზერბაიჯანს, მთელ სამუსულმანო საქართველოს და ბოლოს შეჩერებულ იქმნა გერმანელების მიერ ქრისტიანულ საქართველს კარებთან. ამ აგრესიის შედეგი იყო ამიერ კავკასიის ფედერაციის დაშლა და მისი იმუადგენელ ხალხების თავის ანაზარად დარჩენა. დიდი ომიდან გამარჯვებული გამოვიდა ანტანტა: ოსმალეთი იძულებული ვახდა კავკასია დაეტოვებინა; დაარსდა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო: აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი, ყველა სამივე ევროპის მიერ ცნობილი «დე ფაქტო», ხოლო საქართველო «დე იურე» და; დაუყოვნებლივ დაიწყო კონსტიტუციური მუშაობა; ამ დროს რუსეთში კი სამოქალაქო ომი მივინვარებდა.

ენერ ფაშის რევიმი ოსმალეთში შესცვალა ქემალ ფაშის ევროპიული და ნაციონალურმა რევიმმა. მაგრამ მის კავკასიურ პოლიტიკაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. 1920 წელში ანკარის ემიზიონების ძალდატანებით სარწმუნოებით მისმა მოძემ აზერბაიჯანმა გაუღო თავის კარები მოსკოვის ჯარებს; ეროვნულმა მთავრობამ წინააღმდეგობის გაუწევლად დაუთმო ხელისუფლება მოსკოვის გმირებს და ამხარადა რუსეთი კვლავ ვახდა სპარსეთის და ოსმალეთის უშუალო მეზობელი. აზერბაიჯანის დაცემა გადაწყვიტა სხვა როსპუბლიკების ბედით. 1921 წლის თებერვალში მოსკოვის ჯარებმა აზერბაიჯანის ზვით შემოიჭრეს საქართველოში. ამ ტრაგიკულ წუთებში, მაშინ, როდესაც თბილისის ირგვლივ გაცხარებული ბრძოლა წარმოებდა მტრის წინააღმდეგ, 23 თებერვალს მოულოდნელად საქართველოს მთავრობამ მიიღო ანკარის ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვდა დაუყოვნებლივ ევაკუაცია და არდავანის და ართვინის ოლქების და ჰასუნის დაუცვლად შემოიყვანა ამ ოლქებში ჯარები. ორ ცეცხლს შუა მოქცეული საქართველო მიუხედავად ყოვლისა მთავარ ფრონტად მიანც მოსკოვის ფრონტს თვლიდა; მან პროტესტი განუცხადა ოს-

მალეთს და უბრძანა თავის მცირე რიცხოვან სანაპირო ჯარს უკან დაეხია. ამით გათამამებულმა ოსმალეთმა დაიკავა ბათუმის ოლქი და იმ დროს, როდესაც ქართველმა ჯარმა დატოვა სატახტო ქალაქი და იხვედა დასავლეთ საქართველოში, რომ იქ მოეწყო რუსეთის საწინააღმდეგო ოპერაციების ბაზა, თურქები ზურგიდან დავესხნენ. დაიკავეს ბათუმი და ეს ოლქი გაზოაცხადეს ოსმალეთის მიერ ანექსია ქმნილად. ქართველი ჯარი იძულებული ვახდა ამ ქალაქს მიშველებოდა, ვაეფუტა იქედან გატყორცნილი და შეენახა ოლქი ქართველი ერისათვის.


შემდეგ აღმოჩნდა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის დროს ანკარის მთავრობა იმ მიზნით, რომ მიუღო უფლება საქართველ ოს ტერიტორიის მიკუთვნებისა, საიდუმლო მოლაპარაკებაში ყოფილა მოსკოვის მთავრობასთან. ამ მოლაპარაკების შედეგი იყო ოსმალეთისა და რუსეთის შორის დადებული ხელშეკრულობა 16 მარტს, ე. ი. იმ დროს, როდესაც ქართული ეროვნული მთავრობა ჯერ კიდევ ხელმძღვანელობდა ბრძოლას თავის ქვეყნის ინტერესების დასაცავად. მოსკოვმა მისცა ოსმალეთს ქართული ოლქები—არდავანი და ართვინი. ამხარად მოსკოვ-ანკარის ბლოკმა მოსო საქართველს დაზოკედებლობა დაიძულა კანონიერი მთავრობა უცხოეთში გადახვეწილიყო.

იმვე 1921 წ. 13 ოქტომბერს მოსკოვმა და ანკარამ ოსმალეთის ტერიტორიაზე, ყარსში, დადგინა ახალი ხელშეკრულობა, რომელშიც შევიდა მოსკოვის ხელშეკრულობის პირველი პარაგრაფი. ამის გარდა ანკარამ იცნო ამიერ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მსახობა და უარყო ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელიც მათ მიერ იყო დადებული. ან მათ შეეხებოდენ და სხ. (იხ. პარ. 1, 2, 4, 13).

აი, ამხარად საუკუნოების მანძილზე და დღემდე ოსმალეთი იბრძოდა კავკასიის ხალხების ხელიდარობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და ამჯობინებდა რუსეთთან უშუალო მეზობლობას.

სპარსეთს თუმცა არავითარი დახმარება არ მოუჩინა კავკასიისთვის. მაგრამ არავითარ ტერიტორიალურ პრეტენზიებს მიანც არ აცხადებს ამ ქვეყანაზე; იგი რჩება თავის საზღვრებში და არ აწარმოებს ანტიკავკასიურ პოლიტიკას.

ამხარად კავკასიას ყავს მხოლოდ ორი პრეტენდენტი: ერთი მზობით რუსეთი, მეორე—კავკასიის ხალხები. როგორ მოქცევა ოსმალეთი,—გაყვება იგი სპარსეთის კავკასიურ პოლიტიკას და დაკმაყოფილდება თავისი საკუთარი საზღვრებით, თუ განაგრძელებს სულთანების მიერ ნაანდერძვე პოლიტიკას? აი კითხვა, რომლის საბოლოო გადაწყვეტას შეეძლება გადაწყვიტოს აგრეთვე კავკასიის პრობლემა: იქნება იგი თავისუფალი და დამოუკიდებელი, თუ დარჩება რუსეთის უღლის ქვეშ.





ასსტრალამის ინტერნაციონალი და საბამოთა პროფ. კავშირები

პროფესიონალური კავშირების საერთაშორისო კონგრესზე ლონდონში 1936 წლის ივლისში საფრანგეთის შრომის კონფედერაციის დელეგატების წინადადება იყო—მოლაპარაკება გაემართა რუსეთის პროფ. კავშირებთან და პროფინტერთან შეერთების მიზნით.

პროფინტერთან რაიმე მოლაპარაკების გამართვა უარყოფილ იქნა კონგრესის მიერ დიდის უმრავლესობით. მაგრამ ამავე დროს დაადგინეს მიემართათ ყველა იმ ცენტრალურ პროფ. კავშირებისათვის, რომელნიც ამსტერდამის ინტერნაციონალში არ შედიან და მათი შემოსაერთებლათ ნიდაგი მოემზადებიათ. ამ მიზნით ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიურომ გაგზავნა დელეგაცია ჯერ ამერიკაში. ამ მოლაპარაკებებში კარგი შედეგი გამოიღო და ამერიკის პროფესიონალური კავშირები მიღებულ იქნა ამსტერდამის საერთაშორისო ფედერაციაში.

შემდეგ ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიურომ მოლაპარაკებლათ დელეგაცია გაგზავნა აგრეთვე მოსკოვში. ამ დელეგაციას შეთავაზობდა საფრანგეთის შრომის კონფედერაციის თავმჯდომარე და ამსტერდამის ინტერნაციონალის თავმჯდომარის ამხანაგი ლეონ ჟუო.

მოლაპარაკებას ადგილი ქონდა მოსკოვში 1937 წლის 24-25 26 ნოემბერში. ამ მოლაპარაკების დროს რუსების დელეგაციამ ამსტერდამის ინტერნაციონალთან გასაერთიანებლათ შემოაყენა შემდეგი პირობები: 1. საერთაშორისო პროფესიონალური კავშირების ფედერაცია უფრო აქტიურ ბრძოლას უნდა აწარმოებდეს ომის და ფაშისმის წინააღმდეგ; 2. ომის და ფაშისმის წინააღმდეგ მიღებულ უნდა იქნას პროპაგანდის და აგიტაციის ყველა ზომები (შუშათა კრებები, პრესა, რადიო, სინემა და სხვა); 3. აგრესიული ქვეყნების—გერმანიის, იტალიის, იაპონიის წინააღმდეგ ყველა ქვეყნებში უნდა გაიმართოს პროლეტარული სანქციები (აგრესიულ ქვეყნების გერმანიის დატვირთვები უარის თქმა, ამ ქვეყნების მიმართულებით ტრანსპორტის შეჩერება და გადაცემების მოწყობა ყველა იმ ქარხნებში, სადაც მუშადმუცა იარაღი აგრესორებისათვის და სხ.); 4. ენერგიული დახმარება ისპანიას და ჩინეთის იტალიის, გერმანიის და იაპონიის წინააღმდეგ; 5. საერთო პროლეტარულ და სახალხო ფრონტისადმი მხარის დაჭერა ყოველგვან, სადაც ეს ფრონტი კი არსებობს; 6. მოწვეულ იქნას საერთაშორისო პროფ. კავშირების ფედერაციის არაჩვეულებრივი კონგრესი, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა პროფეს. კავშირებიც; 7. საერთაშორისო პროფ. კავშირების ფედერაციას უყოლებს 3 თავმჯდომარე, მათ შორის ერთი იქნება საბჭოთა კავშირების წარმომადგენელი, ერთი გენერალური მდივანთაგანი უნდა იყოს აგრეთვე რუსი; 8. რადავანაც საერთაშორისო ფედერაციის კასაში რუსებს მოუბდებათ 5.000.000 ფრანკის მუტანა, უნდა იყოს იმის სრული გარანტია,

რომ ეს მილიონები არ მოხმარდება საბჭოთა რუსეთის და საბჭოთა პროფ. კავშირების წინააღმდეგ პროპაგანდას.

ზოგი მკითხველი რეზერვებით რუსების ეს პირობები ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს დელეგაციის მიერ მიღებულ იქნა.

შემდეგ ეს დროებითი შეთანხმება სარატიფიკაციით წარედგინა, როგორც რუსეთის პროფ. კავშირების ცენტრალურ ორგანოს, ისე ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს. რუსების კი, რასაკვირველია, მიიღეს. ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს კრებამ პარიზში 1938 წლის 12-13 იანვარს კი კატეგორიულათ უარყო რუს პროფ. კავშირების პირობები და განსახილველათ გადაუგზავნა ის ამსტერდამის ინტერნაციონალში შემავლელ ყველა სექციებს; ამავე დროს ყველა ამ სექციებს რჩევა ეწვდებოდა ეს პირობები არ მიიღონ და შესადგინოს ახრი წარმოადგინონ საერთაშორისო ფედერაციის კრებისათვის, რომელსაც ადგილი ექნება ოსლოში (ნორვეგია) ამა წლის მაისში.

რუს პროფ. კავშირების და ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს დელეგაციებთა შორის დადებული დროებითი შეთანხმების სპეციტი უკვე განიხილულ იქნა ინგლისის, ამერიკის, პრაღისა და სხვა ქვეყნების, შვეიცარიის და ბელგიის პროფ. კავშირების ცენტრალურ ორგანოების მიერ და ყველა ამათ მიერ ის უარყოფილათა. აქვანც ცხადია, რომ საერთაშორისო ფედერაციის გენერალური საბჭოს კრებაც ოსლოში მომავალ მაისში უარს ყოფს საბჭოთა კავშირის პირობებს და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის დასასუსტავათ განხრახუნებულ-შევიკურ მანიოვრებს თავიდან აიცილებს.

პაღლ კაუტსკი პრალაში

გასული მარტის მეორე ნახევარში ვენიდან პრალაში ჩამოვიდა თავისი მუფლვე ლუჩინათი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული პარტიის კარლ კაუტსკი. მას სადგურზე დახვინდა მისი ძველი მეგობრები და ამხანაგები—სენანის თავმჯდომარე ფრ. სოუკუბი, მინისტრი დ. ჩენი (ნემეცი) და მთელი რიგი პარტიული და სასოციალ მოღვაწეები.

კარლ კაუტსკის გადაწყვეტილი ქონდა მისი სოციალისტური უკანასკნელი დღეები გაეტარებია დედამამშობლოში, ჩეხოსლოვაკიაში, სადაც ისაა დაბადებული და რომლის ქვეშევრდომობა მან მიიღო 4 წლის წინეთ. ეს ჩამოსვლა კი რამოდენიმეთ დააქჟარა ავსტრიაში მომხდარმა ამებებმა—შეერთებ გერმანიასთან.

კაუტსკის ამ ხანებში გადაუხდია ავთიმყოფობა და ძალზე დასუსტებული, 84 წლის, მცხოვან მეცნიერს და პოლიტიკოსს, შესუდრია ეს მოულოდნელი მგზავრობა. ბუნებრივია, მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები და ამხანაგები, ჩენი და სხვები, არ მისულან კაუტსკის სანახავათ ბინაზე, რომ ამით არ დაეულათათ. მიუხედავად ამისა, ჩენმა მეგობარმა ფრ. სოუკუკმა წინადადება მომცა წავეყოლიდი მას და ერთად გვენახა საქართველოს მუდამ კეთილშო-



ბილი დამცველი; თავისთავად იგულისხმება, რომ ამ წინადადებით სიამოვნებით ვისარგებლე. მართლაც, ქ. კაუტკი გამოიყენება ძალიან სუსტად და დაუშვებელი იყო მისი ზედმეტი ლაპარაკით შეწყუხება. როგორც ქართველმა, დაუმოწმე მას მხოლოდ, რომ მისი ქართველი მეგობრების და ამხანაგების გულში დაბინავებულია სამუდამო მისი პატივსაცემა და სიყვარული.

მისი შეუღლე ლუბაკი გამოიკვირება ისე, როგორც წინდე გვინახავს. მას კარგად ახსოვს საქართველო და ქართველი მოღვაწეი. გულის ტკივილით მიიგონა კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი. დათიკო შარაშიძე (ნოტრ დატიკო) და ბევრი სხვები. გვთხოვა მოგვეცია ქორდანი და გვარჯალაძე.

საუბრის გათავების შემდეგ მზახველებმა გავაცილეთ ჩვენი ერთგული მეგობრები სადგურზე, საიდანაც (პრალაში სამი დღის დასვენების შემდეგ) აეროპლანიტი ვაემგზავრენენ ამსტერდამში. განზრახული აქვთ საბოლოოდ ჩეხოსლოვაკიაში დაბინავებამდე რამდენიმე თვე გაატარონ პოლანდიაში.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი საქმის შეურყვევლი დამცველი ქ. კაუტკი წარდგენილია წელს კანდიდატთ ნობელის მშვიდობიანობის პრემიაზე. გმ. ლ—ძე.

პ ა რ ტ ი ა შ ი

მიმდინარე წლის 19 თებერვლის სხდომაზე სახლვარ-გარეთელმა ბიურომ ერთხმად დაადგინა, რომ აერთიან პრეზიდიუმი და მისთვის მიენდა მიმდინარე პარტიული მუშაობის გაძლიება. პრეზიდიუმი პასუხისმგებელია ბიუროს წინაშე და მუშაობს უკანასკნელის მიერ მიცემულ დირექტივების ფარგლებში.

ამავე სხდომაზე ბიუროს თავმჯდომარემ და პარტიის უცვლელმა ხელმძღვანელმა ნ. ქორდანიამ თხოვა ბიუროს, რომ იგი გაეთავისუფლებინა ბიუროს თავმჯდომარეობიდან და «ბრძოლის ხმა» ს სარედაქციო კოლეგიის წევრობისაგან.

17 მარტის სხდომაზე ნ. ქორდანიამ ხელახლავ გამოთრა თავისი თხოვნა და თან შემოიტანა წერილობითი განცხადება, რომელშიაც ის ასახელებს თავმჯდომარეობიდან გადადგომის ორ მიზეზს: 1) რომ იგი საკმაოდ მოუხუცდა და მისი სურვილია, რომ მისივე სიცოცხლეში პარტიულ მუშაობის სათავეში ჩადგენ უფრო ახალგაზდები და შეეჩვიონ პასუხისმგებლობას და ხელმძღვანელობის გავწევას 2) რომ ის დატვირთულია იმ მუშაობით, რომელიც მას დააკისრა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ და რომლისაგან თავის განთავისუფლება მას აქარ შეუძლია, ამ სფეროში მუშაობა, განსაკუთრებით დღევანდელ საერთაშორისო გართულეზულ პირობებში, მოითხოვს დიდ დროს, დიდ ენერჯიას და წინდახედულობას, დიდ ფიქრსა და აწონ დაწონვისას რომ ქართველი ერის სასიცოცხლო ძაფები არ გადაიჭრას ამ არეულ დროში. ამ ხაზზე მთელი პარტიული და იდეური ემიგრაცია, მიუხედავად პარტიული სხვადასხვაობისა, ერთად უნდა იმეფოს.

ერთ რაზმით იქცეს და ჩვენ ნაციონალურ მეთაურობასთან ერთად ერის სადარაჯოზე იდგეს.

ბიურომ, მოისმინა რა ეს განცხადება და სიტყვიერი განმარტება,—თუმცა დიდი გულისტკივილით,—შეიწყნარა მისი გარდაუვლი სურვილი და განათავისუფლა იგი როგორც ბიუროს თავმჯდომარეობიდან. ისე «ბრძ. ხმა» ს სარედაქციო კოლეგიის წევრობისაგან.

წესი შემდეგ არჩულე იქნა ბიუროს პრეზიდიუმი.

ამავე სხდომაზე ბიურომ დაადგინა, რომ ამიერიდან «ბრ. ხმა» გამოვიდეს ეურნალის ფორმით.

ბ ი ბ ლ ი ო მ გ ა შ ი ა

Arcady Momphoria, Docteur en Droit de l'Université de Grenoble: Essai sur la Monnaie Dirigée. Lyon, 1937.

არკ. მამფორიას ძნელი თმა აურჩევია თავის სამეცნიერო შრომისთვის: ფულის საკითხი. ფულის საკითხი კი პოლიტ. ეკონომიაში საზოგადოთ მიჩნეულია ერთ უძნელეს საკითხად, ხოლო განსაკუთრებული თავსატეგრევე საგნათ გადაიქცა იგი ომის შემდეგ, როცა ეკონომიურ ცხოვრებაში დამყარებული წესები ყოველგან დაინგრა და გამოიცივალა.

ახალი გზები უნდა ვეძიოთ ფულის საქმეში არეულ ეკონომ. მდგომარეობიდან გამოსასვლელათ, თუ ისე ძველ გზებზე უნდა დარჩეთ? ეს ახალი გზები და მეთოდები საძებნელია საერთაშორისო მასშტაბით, თუ ცალკ-ცალკე სახელმწიფოს ჩარჩოებში კერძოთ? შრავალი ასეთი საკითხი ისმის ახლა ყოველგან: უნივერსიტეტების კათედრიდან და სამეცნიერო გამოცემებში, მთავრობებში და პარლამენტებში, ბიურაზე და ბანკებში, საერთაშორისო კონგრესებზე და ყოველდღიურ პრესაში. ცხადა, ბევრი მასალა დაგროვეულია და ამიტომ საკითხი კიდევ უფრო გართულდა: გარკვევა ამ აუარებელ მასალაში, ამ ახალ და ახალ სხვადასხვა ხაირ თეორიებში უკვე თავისთავად სინდლეს წარმადგენს; მეორე მხრით, ახლა ამ საკითხში ვერც საერთო ფრაზებით და მიკიბულ-მიკიბულ ამბებით ვისმე დააკმაყოფილებთ და მით უფრო ვერ დააკმაყოფილებთ სამეცნიერო დისკურტაციის მოთხოვნილებას (რამდენათაც ვიცით, ა. მამფორიას შრომას ეს უკანასკნელი დანიშნულავეა ჰქონდა). ერთი სიტყვით, საგნის სინდლეს საქმარისად ნათელია და ჩვენი ავტორის საკუთარი «აღმოჩენები» მის წიგნში არ უნდა ვეძიოთ. ჩვენ ამ შრომის ღირსებათ სწორეთის მიგვაჩნია, რომ ავტორი «საკუთარი გზების» ძიებას არ გაუტეხავდა (ფულის საქმეში საკუთარ და ახალ გზების ძებნას ცნობილი მეცნიერები და პრაქტიკაში გამორჩმედილი სპეციალისტებიც ერიდებიან), და კმაყოფილდება ფულის საკითხის გამო არსებულ დოკტრინების თუ სამეცნიერო ნაშრომების გადმოცემას და ანალიზს.

ავტორი აღნიშნავს ოქროს როლს ფულის ტრიპლის საქმეში წინათ და ახლა, გვაცნობს ფულის

საკითხის სხვადასხვა თეორიებს, მოყვას ამ საქმის მოწესრიგებისთვის ამ ბოლო ხანებში შემუშავებულ სხვადასხვა «პლანი» და ვრცლათ ეხება ფულის მუდურნობაში განკარგულებითი (dirigée—რაც მეტს ნიშნავს, ვინემ «დაგეგმულ») სიტყვის შტაპანს; ამ უკანასკნელ ზომის სასარგებლოდ წიგნში მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები და მეცნიერების აზრი. ამავე დროს ავტორი არკვევს თავის პოზიციას ამ საკითხში; იგი ემხრობა იმ მიმართულებას, რომელიც აღიარებს ძველ მეთოდებს ფულის პოლიტიკაში საბოლოოთ გაკონტრირებულად; ამიტომ იგი აღიარებს დოქტრინას, რომ ფულის საქმეში ზევითან ჩარევით, «განკარგულებული ფულით» შეიძლება ახლა დაავთმყოფებულ ეკონომი ურ სხეულის თუ საესებთი მორჩენა არა. ყოველ შემთხვევაში მისი მშვიდმარჯობის გაუმჯობესება; ფულის საკითხის მოწესრიგება უნდა მოხდეს ერთნულ (სახელმწიფოს) ჩარჩოებში. უნდა მოიხსიოს «ოქროს ფეტიშიზმი» ფულის სისტემაში (ახლა რომ ფული ოქროს საფუძველზეა დამყარებული) და სხვა სეთი დასკვნები გამოყავს ავტორს იმ მასალებიდან, მას რომ წიგნში აქვს განხილული.

ჩვეს. პირადათ, არ ვიზიარებთ სავსებით ავტორის მიერ შეთვისებულ დოქტრინას ფულის საქმეში და ავტორის არც ზოგაერთ გაბედულ დასკვნებს; არიან მთელი რიგი გამოჩენილ ეკონომისტების «განკარგულებითი» სისტემას ფულის საქმეში რომ უაყოფით უყურებენ და არც საბოლოო დასკვნის გამოტანა შეიძლება იმ ქვეყნების მაგალითებიდან, სადაც კოლათ თუ ბევრად ამ ზომას მიმართეს. რადგან აქაც ვგ ზომა უფრო ცდის პერიოდშია ჯერჯერობით და არა საბოლოოთ განმტკიცებული (ამის საბუთს იძლევა, სხვათა შორის, ამერ. შეერთ. შტატების მაგალითი).

მით უფრო თამამათ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ა. მამდონიას წიგნი სერიოზულ ნაშრომს წარმოადგენს მის მიერ ჩარჩულ დოქტრინის განსამარტავათ და დასაცავათ; ავტორს გაბედული ნაბიჯი გადაუდგამს პოლიტიკურ ეკონომიის უძნელეს სფეროში შესასვლელათ და ამისთვის იგი მუყაითია და ფართოთ გაკნობია შესაძლებლს სპეციალურ ლიტერატურას; წიგნი შეეხება ძალიან საკუბრბორტო საკითხს, მრავალ სხვა საკითხებთან რომ არის გადაამტული, და ამიტომ ამ წიგნის დაწერა უპირველეს ყოვლისა უსათუოდ დიდ სარგებლობას მოუტანდა თვით ავტორს; ამ დარგში საკუთარ ცოდნის გასაფართოებლათ; ამას კი ახალგაზრდა კაცისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ჩვენც სწორათ ამ თვალსაზრისით ვაფასებთ ამ შრომას. ხოლო სიამოვნებით აღვნიშნავთ იმ გარემოებასაც, რომ 300 გვერდიან ნაწარმოებში ავტორს საესებთი დაცული აქვს ეკონომიურ მეცნიერების სიტყვიერება—ენა და ტერმინოლოგია—და წიგნის დაბეჭდვაც საუყუეთესო გამომცემლობაში მოუხერხებია.

ბ. ბ.

წიგლი რადამციის მიხადი

მატინე რედაქტორნი!
გთხოვთ «ბრძოლის ხმის» მახლოდ ნომერში აღდგოთ დაუთმოთ ჩემს შემდეგ განცხადებას.

ამა წლის 27 თებერვალს საქ. სოციალდემოკრატიულ პარტიის 45 წლის თავის აღსანიშნავად გამართულ დღესასწაულზე სხვადასხვა პარტიებთან გამა ჩემდა მოულოდნელად მე წილად მხვდა მისვალმებოდი ამ კრებას პარისში მყოფ სოციალისტ-ფედერალისტათ სახელით. «ბრძოლის ხმის» უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილ ამ კრების ანგარიშში ჩემი სიტყვა სავსებით სწორად არაა ვადმოცემული.

ამ კრებაზე მე საკუროდ დავინახე პასუხი ვამეცა წრეეადდლ და შარშანდელ კრების თავმჯდომარეთა სხვა სოციალისტურ პარტიების მიმართ მისასვალმებოდი სიტყვებში გამოთქმულ სურვილებზე გავრითანების შესახებ. მე ვანაცხადებ, რომ ჩვენს, ორ პარტიათა შორის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. ბრძოლის მთავარი სავანი მოიხსიო. აღვნიშნე რა ამ ორ პარტიათა შორის ამის შემდეგ მომხდარი დაახლოება, მე გამოვთქვი გულწრფელი სურვილი მომავალში მათი გაერთიანებისა იმ აუცილებელ პირობის დაცვით, რომ ეს გაერთიანებული სოციალისტური პარტია არ გაიხიზნოს მარქსისმსახელმძღვანელო დოქტრინად. რადგან ამ გაერთიანების საკითხი უტყოფოში ვასავებ მიხვთთა გამა პრაქტიკული ნიდადვე ვერ დისმება, ხაზი გაუსვი ამ ორ პარტიათა შორის არსებულ თანაშრომლობის გამტკიცების და ურთიერთის ახლო გაგების საკუროებას.

პატივისცემით ნიკო ვურუმაძე.

ა ნ ვ ა რ ი შ ი

ამხ. ნიკო ნასიძის და გერონტი ცეცხლაძის საფლავის მოწყოლის ხარჯების დასაფარავათ ვაიხუს:

- თითომ 50 ლარი: შ. აბულქაძე, მ. ვარძიანიცი, დ. ბუაჩიძე, გ. ბოლქვაძე, დ. ყორყოლიანი, ქრ. იმნაიშვილი, პრ. იწქორველი, ავ. მეფარიშვილი 40 ფრ. თითომ 30 ფრ.: ს. ზაგინბერძენი, გრ. ცინცაძე, მირ. მელია, თითომ 25 ფრ.: ავ. ვადაქოია, გრ. ქულიძე, პ. სარჯველაძე, ერ. მაჭავარიანი, სპ. ულენტი, ნ. ვაყელი, ვ. წულაძე. თითომ 20 ფრ.: ს. სარჯველაძე, შ. ჯავახიძე, თითომ 15 ფრ.: შ. ბერიშვილი, დ. ლომიძე, გ. პირაქაძე, X. თითომ 10 ფრ.: ვ. ლაბაძე, სე. ლიაძე, ვ. შარაიძე.

სო. შოდან— ორაგველიძისაგან—250 ფრანკი.
ქ. იმნაიშვილიანს სურათებზე გადანარჩენი 43 ფრ. რჩებოდა ნასიძის დაქრძალვის ხარჯებიდან (იხ. «ბრძ. ხმა» № 36) 57-20, რჩებოდა ცეცხლაძის დაქრძალვის ხარჯებიდან (იხ. «ბრძ. ხმა» № 53) 732-25.
მიღებულა მ. ბურძლასაგან 90 ფრ. რომელიც გ. ცეცხლაძის ემართა. სულ შემოსავალი 1957-45.
მეცა ორთავად საფლავის მოსაწყობათ 2350 ფრ. დაგვეკლად 392-55, ორმლის შევება ზედმეტო იკისრა კომისიის წევრმა ამხ. დავით ყორყოლიანმა. დამკრძალვ კომისიის მონდობილობით ვ. წ.